ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  შაბათი, 1 მარტი  1997 №23 (388)  ფასი 40 თეთრი


## ყიფიანი გუნდს ავსებს

საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის ერთ-ერთი მოთხოვნა დანიშვნის წინ საკუთარი „გუნდის“ საკუთარი გემოვნებით დაკომპლექტება იყო. ერთი „თანაგუნდელის“, რევაზ ძოძუაშვილის ვინაობა 8 თებერვალსვე გახდა ცნობილი, ორი დღის წინ ყიფიანმა გაბელია „აიყვანა“, გუშინ კი მის სხვა „თანაგუნდელთა“ ვინაობაც გაირკვა: ძოძუაშვილის და გაბელიას გარდა ყიფიანს ნაკრების წვრთნაში „დინამოს“ ახალგაზრდა მწვრთნელი გია გეგუჩაძე მიეხმარება, ნაკრების ექიმი კვლავაც დიმიტრი ზაალიშვილია, ერთი მასაჟისტი — უბერებელი ანზორ გაბიტაშვილი, მეორე კი დინამოელი იქნება — ან გივი ბელაშვილი, ანაც ვახტანგ ძამაშვილი. ნაკრების ადმინისტრატორად ამ საქმეში ერთობ გამოცდილი, დინამოელი გია იმნაძე იმუშავებს. ვაკანტური მხოლოდ ნაკრების უფროსის თანამდებობა დარჩა, თუმცა, ყიფიანის თქმით, ესეც მალევე გახდება ცნობილი.

## ეპიდემიამ ჩემპიონატი ჩაშალა

2-3 მარტს ახმეტაში დაგეგმილი იყო საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის. შეჯიბრება არ ჩატარდება, რადგან ახმეტაში ბოტკინის ეპიდემია მძვინვარებს და რაიონის ხელმძღვანელობამ საყოველთაო კარანტინი გამოაცხადა. ახალგაზრდული ჩემპიონატის ახალ ვადებს საქართველოს ძიუდოს ფედერაცია მოგვიანებით გამოაცხადებს.

## ოლიმპიური კომიტეტი ნარკოტიკების წინააღმდეგ

შარშან, წლის მიწურულს არჩეულმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ახალმა შემადგენლობამ წლეულს თავისი პირველი სხდომა გუშინ გამართა. დღის წესრიგში იყო 17 საკითხი, სეოკ-ის აღმასკომის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებით და სეოკ-ის 1997 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცებით დაწყებული, ზამთრის მე-18 ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობით და „სპორტსმენთა საერთაშორისო ასოციაცია ნარკოტიკების წინააღმდეგ“ მოძრაობაში გაწევრიანებით დასრულებული.

ამ და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებზე მიიღეს შესაბამისი და სათანადო დადგენილებები, დასასრულ კი, როგორც სეზონის პირველ ესოდენ მნიშვნელოვან თავყრილობას შეეფერება, სხდომის მონაწილეებმა შამპანურით გაისველეს ყელი.

## ბიწაძე ტაისონის ცემას აპირებს!

**— სამომავლო გეგმები როგორი გაქვს?**

— შეიძლება ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც გეტყვი — მაიკ ტაისონთან ვაპირებ შერკინებას.

**— ეგ როგორ?**

— ჩვეულებრივად. შეუძლებელი არაფერია. ახლა ჩემი მენეჯერი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკელებთან და ჩვენი ორთაბრძოლა სავსებით რეალურია. თუმცა, ჯერჯერობით გაურკვეველია, ვიკრივებთ თუ კარატეს წესებით შევერკინებით ერთმანეთს. მე კარატე მირჩევნია...

**სენსაცია!**

ასეთი მოულოდნელი ამბის შეტყობით დასრულდა ჩვენი საუბარი ტარიელ ბიწაძესთან. მასთან ინტერვიუს მეექვსე გვერდზე იხილავთ







## შირერი ისევ გადაგვირჩა

### ნუ იჩქარებ, ალან!

სამშაბათს მსოფლიოს უძვირესმა ფეხბურთელმა, ინგლისის ეროვნული გუნდისა და „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფორვარდმა ალან შირერმა საზარდულის მესამე ოპერაცია გაიკეთა. პირველად შირერი გასული წლის აპრილში დაწვა საოპერაციო მაგიდაზე, მაგრამ ევროპის ჩემპიონატისთვის გამოკეთდა და საუცხოოდ ითამაშა. მეორე ოპერაცია ოქტომბერში გაუკეთეს „ნიუკასლ“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ უპრინციპულესი და საოცარი („ნიუკასლმა“ 5:0 მოიგო) შეხვედრის შემდეგ. ერთ თვეში თავდამსხმელი კვლავ მოედანზე იყო. და ახლა მესამე...

თავდაპირველად გავრცელდა ცნობა, რომ გამოსაჯანმრთელებლად შირერს რამდენიმე კვირა ეყოფოდა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრებიდან მხოლოდ უეფას თასის სამშაბათის შეხვედრას გამოტოვებდა „მონაკოსთან“. ბოლო ცნობათა თანახმად, საქმე სხვაგვარადაა: ფეხბურთელს შესაძლოა მთელი დარჩენილი სეზონი გაუცდეს და ვერც ივნისში მიიღოს მონაწილეობა საფრანგეთში დაგეგმილ ტურნირში ინგლისის, ბრაზილიის, იტალიისა და მასპინძელთა ნაკრებების მონაწილეობით. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ინგლისის ყველაზე მრისხანე ფორვარდი 30 აპრილს „უემბლიზე“ საქართველოს წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. გეხსომებათ, მან ოქტომბერში გაკეთებული ოპერაციის გამო ვერც ამ გუნდების თბილისურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

საგულისხმოა, რომ თავად ოპერაციამ კარგად ჩაიარა და პაციენტი უკვე სახლშია, მაგრამ ექიმ გერი გილმორის თქმით, საზარდულზე, ნაიარევის გარშემო კანი ძლიერაა გამაგრებული. გილმორმა შირერს ექვსი კვირის განმავლობაში მხოლოდ ხანმოკლე გასეირნებები უბრძანა, რის შემდეგაც გასინჯავს და სამომავლოს მაშინ ეტყვის. ფეხბურთელი სერიოზულად გააფრთხილეს, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში შესაძლოა ჯანმრთელობა ერთობ გაუუარესდეს.

მიუხედავად ამისა, „ნიუკასლ იუნაიტედის“ ხელმძღვანელები იმედის თვალით შეჰყურებენ ახლო მომავალს, რადგან, ჯერ ერთი, შირერი უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან და მეორე — წინა ოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ მან მალე დაიწყო მსუბუქი ვარჯიში, რაზეც ახლაც ოცნებობენ.

..ჩვენ კი ალანს აჩქარებას არ ვურჩევთ.



25 თებერვალს, იმ დღეს, როცა ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის მორიგი სხდომა იყო დაგეგმილი, ყველანი მოუთმენლად ველოდით დავით ყიფიანის და რევაზ ძოძუაშვილის გამოჩენას. ინტერესი ბუნებრივი გახლდათ — ეროვნული გუნდის ახალდანიშნულ მწვრთნელებს თავიანთი სამოქმედო პროგრამა უნდა წარედგინათ ფედერაციის ჩინოსნებისთვის.

დრო გადიოდა, მწვრთნელები კი არსად ჩანდნენ, ის იყო, შენობიდან გამოსულმა გარეთ მყოფებს ვკითხე, ყიფიანისთვის ან ძოძუაშვილისთვის თვალი ხომ არ მოგიკრავთ-მეთქი, რომ კეისით ხელში სწრაფად მომავალი დავით ყიფიანი შევნიშნე. კითხვაც მზად მქონდა — რევაზ ძოძუაშვილი თბილისშია თუ არა? მთავარი მწვრთნელისგან ასეთი პასუხი მივიღე — რეზოს დღეს ველოდებოდით, მაგრამ თვითმფრინავი იგვიანებს და, ალბათ, ალმასკომის სხდომას ვერ ჩამოუსწრებს, გვიან საღამოს ჩამოვაო. მართლაც, „მიხიჩა" ალმასკომის სხდომას არ დასწრებია. თუმცა, დაგვიანების მიზეზი ერთობ საპატიო ჰქონია...

# „მიხიჩამ" მუშაობა დაიწყო

## რატომ არ ესწრებოდა ალმასკომის სხდომას რევაზ ძოძუაშვილი

— როგორც იცით, კვიპროსზე ოთხთა ტურნირი ტარდებოდა, მონაწილეთა შორის ჩვენი მომავალი მეტოქე, პოლონეთიც იყო ლატვიის, ლიტვის და მასპინძელთა გუნდებთან ერთად. ჰოდა, მეც ლატვიელთა სამშობლოში დაბრუნებას ველოდი, რათა მათგან მცირე ინფორმაცია მაინც მიმეღო პოლონელთა შესახებ. ამიტომ შემაგვიანდა. ლატვია — პოლონეთის შეხვედრის ვიდეოფირიც ჩამოვიტანე და ყიფიანთან ერთად საგულდაგულოდ გავაანალიზებთ მომავალ მეტოქეთა ავ-კარგს.

**— თქვენეული შეფასება როგორია?**

— პოლონელები თითქმის მეორე შემადგენლობით ჩასულან კვიპროსზე, არცერთი ლეგიონერი იქ არ ჩაუყვანიათ, ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავდათ. როგორც ბალტიისპირელებმა მითხრეს, პოლონელები საკმაოდ ტექნიკურები არიან, უხეშობის ზღვარზე თამაშობენ და საჭიროების შემთხვევაში „ხულიგნობასაც" არ თაკილობენ. საკმაოდ მებრძოლი გუნდი ყოფილა, მაშინაც კი, როცა ლატვიელები 2:0-ს იგებდნენ, არ დანებდნენ და საბოლოოდ ერთი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს.

**— რაიმე მნიშვნელოვანი თუ შენიშნეთ პოლონელთა თამაშში?**

— მათი თამაშის მანერაზე ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ, ახლა კი, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე გავამახვილებ ყურადღებას. ლატვიელთა მონათხრობის და ფირის ნახვის შემდეგ პოლონელთა მწვრთნელის ანტონ პეხნიჩეკის ტაქტიკურ სტრატეგიაზე დაკვირვებამ საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ პოლონელები უპირატესობას 4-4-2 სისტემას ანიჭებენ და, როგორც გითხარით, მოედანზე ხულიგნობითაც გამოირჩევიან. ფეხბურთელები ხშირად ეკამათებიან მსაჯს, ამაში პეხნიჩეკიც კი საკმაოდ აქტიურობს და ეს მომენტი შეიძლება მათთან შეხვედრისას გამოვიყენოთ კიდეც. არავინ იცის, ოდნავ ფსიქოლოგიური ზეწოლა რა შედეგს გამოიღებს, მთავარია, ჩვენ არ ავყვეთ მათ.

**— „სკონტოს" პრეზიდენტს უკვე ესაუბრეთ?**

— დიახ. ინდრიკსონმა მითხრა, ხელს არ შეგიშლი ნაკრების მწვრთნელობაშიო. ოღონდ, მთხოვა, როცა თავისუფალი დრო გექნება, ჩამოდი, კონსულტაციები შემოგვაშველე, ჩემპიონთა ლიგის დროს კი აუცილებლად დაგვეხმარეო.

**— ახლა რას აპირებთ?**

— ცუდი არ იქნება, კვიპროსზე რომ წავიდე. საქმე ისაა, რომ იქ დიდი საერთაშორისო ტურნირია დაგეგმილი. შეიძლება, ჩვენმა მომავალმა მეტოქეებმაც ითამაშონ და ალბათ ღირს მათი თამაშის დაზვერვა. თუმცა, ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ტურნირი 4 მარტს იწყება და მანამდე, კვიპროსზე დავურეკავ „სკონტოს" ხელმძღვანელებს, გავარკვევ, რომელიმე გუნდში ჩვენთვის საინტერესო ფეხბურთელი ხომ არ თამაშობს და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ.

**— ჩვენი ლეგიონერების თამაში ჯერ არ გინახავთ?**

— არა. ჯერჯერობით არცერთი მათგანის თამაშს არ დავსწრებივარ. ქინქლაძესა და ყაველაშვილზე ინგლისში მიღებულ ინფორმაციას თუ არ ჩავთვლით, სხვა ლეგიონერთა შესახებ არაფერი ვიცი. ვიმეორებ, აუცილებელია მათი საქმეში ხილვა, რათა შემოწმდეს, საინგლისოდ როგორ ფორმაში იქნებიან. ყველა ფეხბურთელს ცალ-ცალკე უნდა ვესაუბრო, მათი აზრიც საინტერესოა, იქნებ რაიმე ახალი შემოგვთავაზონ. რაც უნდა იყოს, ისინი უცხოეთში თამაშობენ და არ არის გამორიცხული, ჩვენზე მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ რომელიმე ნაკრებსა თუ ფეხბურთელზე. ჩვენი მხრივ კი უნდა შევთავაზოთ, კლუბში რომელიმე თამაშისას ნაწილობრივ გაითვალისწინონ, როგორ შეიძლება ინგლისთან თამაში და თავადვე დააკვირდნენ თავს, ასე ვთქვათ, თავადვე გამოსცადონ საკუთარი თავი. მაგალითად, თავით თამაში ავიღოთ — ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად უნდა ეცადოს საჰაერო ბრძოლებში მონაწილეობის მიღებას, არ უნდა მოერიდონ ხისტ თამაშს, რადგან „უემბლიზე" სწორედ ასეთი მატჩია მოსალოდნელი...

კობა ინასარიძე

### მახარაძე — „ბათუმში", „ბათუმი" — თურქეთში

თურქეთში მოსამზადებლად მყოფმა ბათუმლებმა ორი ამხანაგური შეხვედრა გამართეს და ორივეში გაიმარჯვეს 4:0, 2:0. სამწუხაროდ, ჩვენებურთა მეტოქეების ვინაობა ვერ გავარკვიეთ, მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ორივე თურქეთის მეორე ლიგაში თამაშობს. შესაძლებელია მოეწყოს ერთი ამხანაგური მატჩიც — „ტრაბზონსპორთან", თუმცა, ეს მხოლოდ თურქებზეა დამოკიდებული.

შევიტყვეთ ისიც, რომ ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკიდან" უკან, „ბათუმში" მიბრუნებულა მალხაზ მახარაძე, რომელიც გუნდს თურქეთშიც გაჰყოლია. რუსეთიდან დაბრუნების მიზეზად მახარაძემ პირობების შეუსრულებლობა დაასახელა.

# იქნებ ერთადვე გამოჩნდნენ?

ვაჟკაცი მუდამ ვაჟკაცია, სადაც უნდა იყოს და რა ვითარებაშიც უნდა მოხვდეს. ხვალ ერთ ვაჟკაც გურამ გაბესკირიას იუბილეა — 50 წლის გახდება „ცხუმის პრეზიდენტი და სოხუმის მერი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული. სად არის ახლა, ცოცხალია თუ დახვრიტეს აფხაზებმა?

ბატონი გურამის მეუღლე, ქალბატონი ჟანა თითქმის დარწმუნებულია, რომ არ დაუხვრეტიათ. სოხუმის დაცემიდან მეექვსე თვის თავზე უთქვამთ, ვიღაც აფხაზს უნახავსო, ასეთივე ამბავი გაუგია ერთი წლის შემდეგაც, მერე კიდევ ორჯერ გამოუჟონია ცნობას, რომ გურამი ცოცხალია და სხვა ქართველ მებრძოლებთან ტყვედ ჰყავთ, ოღონდ ეს ამბავი ისეა გასაიდუმლოებული, სულ რამდენიმე კაცმა თუ იცის მისი ადგილსამყოფელიო.



ისე, გასაკვირია, დახვრეტილი რომ იყოს, რატომ დამალავდნენ აფხაზები — ასე ხომ ფულის გამოძალვაც შეიძლება, თუ აუცილებელია და, რა აზრი აქვს ამდენი ხნის ტყვეობას?

არ ვიცი, ვის ეხება ეს, პრეზიდენტ შევარდნაძეს, საქართველოს მთავრობას, ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ ფაქტია, გურამ გაბესკირია დღემდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. მავანთაგან გაგონილი ცნობების გარდა სიმართლე არავინ იცის. ქართული დელეგაციებიც სტუმრობენ სოხუმს და აგერ ოზგანიც გვწვევია თბილისში, მოსკოვში შეხვედრებს ხომ თვლა არა აქვს, ჰოდა, ნუთუ მართლა, შეუძლებელია სიმართლის დადგენა?

ომის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე, 1992 წლის 9 აგვისტოს IV ჩემპიონატის გახსნის მატჩს „ცხუმი" — „ივერიას" ვუყურე. მატჩის შემდეგ ბატონმა გურამმა მე, მსაჯთა ბრიგადა და „ივერიას" ხელმძღვანელები შინ მიგვიპატიჟა. როცა ოჯახი დაელოცეთ, თავის ვაჟს, ვოვას უთხრა: მამიკო, მოდი, ერთი, „თბილისო" დაუკარი, სულ რუსებს გვეძახიან თბილისში, და ნახონ ჩვენს სტუმრებმა, რა ქართული სული ტრიალებს გაბესკირიების ოჯახშიო. ვოვა რომ პიანინოს მიუჯდა და სიმღერა დაიწყო, ჩვენ ყველას ცრემლი მოგვადგა თვალებზე, ისე ომახიანად ჟღერდა ქართული ჰანგები ომისწინა დახუთულ სოხუმში. ახლა იმ ბინაში არძინბას ერთ-ერთი თანაშემწე ცხოვრობს...

არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა „ცხუმის" აღდგენა ახლა, მაგრამ გურამ გაბესკირიას დაკარგვისა არ იყოს, არც აფხაზეთის მთავრობას და არც ფეხბურთის ფედერაციას საამისოდ ნაბიჯი არ გადაუდგამთ. მისმა მეუღლემ მითხრა, გურამი ოჯახზე გადამკვდარი კაცი იყო, მაგრამ რაზეც ვეჭვიანობდი, ერთი „ცხუმი" იყოო. გუნდის წაგების დღეს ოჯახში სიცილიც კი აკრძალული გვქონდა, ისე განიცდიდა მარცხსო.

გაბესკირიების ოჯახში კი სიცოცხლე გრძელდება. ბატონი გურამის ქალიშვილის, ეკას ორი წლის ანა-მაღლენას ბაბუა არასდროს უნახავს. მალე ალბათ ვოვაც დაოჯახდება, ისევ გაიხმიანებს ოჯახში სახელი — გურამი და ღმერთმა ჰქნას მის დაბადებას მაინც დასწრებოდეს ბაბუამისი...

მოკლედ, გურამ გაბესკირია და „ცხუმი" ერთად დაიბადნენ. იქნებ ერთადვე გამოჩნდნენ?

მამუკა კვარაცხელია

### „მერანის" პრეზიდენტი ტერიტორიულობის წინააღმდეგია

საქართველოს თასის [illegible] წელს შემოღებული ტერიტორიული პრინციპი „მერანის" პრეზიდენტის ნუგზარ ნავაძისთვის მიუღებელია: „როდესაც ფეხბურთის ფედერაციამ თასის გათამაშებისას ტერიტორიული პრინციპი დანერგა, გუნდების ხელმძღვანელებსაც დაეკითხა და სწორი გადაწყვეტილებაც მიიღო, რადგან დღეს ჩვენს გუნდებს ძლიერ უჭირთ. მაგრამ მაშინ კი თქვა, რომ ეს წესი მეოთხედფინალამდე იმოქმედებდა, ახლანდელი კენჭისყრისას კი გვითხრეს, ტერიტორიული პრინციპი ნახევარფინალების დროსაც იმოქმედებსო, რასაც მე, როგორც „მერანის" პრეზიდენტი, ალმასკომის წევრი და თუნდაც როგორც გულშემატკივარი, ვერ დავეთანხმები. იმიტომ, რომ თასის გათამაშება ასეთ წინასწარ დაჯგუფებას ვერ ჰგუობს. გამოდის, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ გუნდების თასებს ვათამაშებთ, საბოლოოდ კი საქართველოს სუპერთასისთვის ითამაშებენ ზონებში გამარჯვებულნი. ვიმეორებ, თასის გათამაშება ერთიანი კენჭისყრის გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნია.

**— ამის თაობაზე ახალკაცს ხომ არ ესაუბრეთ?**

— ახალკაცთან არ მისაუბრია, მაგრამ კენჭისყრის შემდეგ საშეჯიბრო განყოფილების უფროსს ბადრი ქარქაშაძეს და ფედერაციის გენერალურ მდივანს დავით კვინიკაძეს ვესაუბრე. კვინიკაძე იმის მომხრეა, რომ ამ საკითხზე ვიმსჯელოთ, საშეჯიბრო განყოფილება კი ტერიტორიულ პრინციპს იცავს. მე ნახევარფინალებშიც ამ წესის გამოყენებას ვერ მივემხრობი. შეიძლება ისე გამოვიდეს, თითქოს „შევარდენთან" უცილობელი მოგების იმედად ვარ და ნახევარფინალში „დინამოსთან" შეხვედრის გვეშინია. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და „დინამოსთან" წაგებას ტრაგედიად არ მივიჩნევ. უბრალოდ, ტერიტორიულ პრინციპი მიუღებლად მიმაჩნია, რადგან თასის გათამაშებას სიმწვავეს აკლებს. ვიმეორებ, ასეთ პრინციპს მეოთხედფინალამდე ვემხრობი, შემდეგ კი მიუღებლად მიმაჩნია.

მერაბ მამულაშვილი


# ბავშვთა კვება

# Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

**ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა**

**Gerber** კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

**Gerber** 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

**Gerber** ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი" იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

# ცქიტოს თაობა? — რატომაც არა!

თბილისის „დინამოს“ ორმოცდაათიან საბჭოურ ისტორიაში სამ დიდ თაობას გამოჰყოფენ ხოლმე: პაიჭაძე-ჯეჯელავასი, მესხი-მეტრეველისა და ყიფიან-გუცაევისა. ეროვნულ ჩემპიონატში კი სამი თაობის შეცვლას სულ ექვსი-შვიდი წელი სჭირდება! ჩემპიონატი ქეცბაია-ცხადაძის თაობამ დაიწყო, ორი სეზონის მერე იგი არველაძეები-ქინქლაძის თაობამ შეცვალა, კიდევ ორი-სამი სეზონის მერე კი „დინამოში“ სულ ახალგაზრდები — დემეტრაძე, ცქიტიშვილი, კალაძე, დიდავა, კიკნაძე, მუჯირი და მათზე უმცროსი ბიჭები დარჩნენ. 25 წლის ყიზილაშვილი, კერძევაძე, მაჭავარიანი, მათზე ოდნავ უფროსი გოგიჩაიშვილი და ზოიძე უკვე „ვეტერანებად“ მოიხსენიებიან. გვინდა თუ არა, ასეთია რეალობა და ახლა საქმე ისაა, ეს ახალგაზრდებიც არ აიბარგონ და მთლად „ნორჩი დინამოელის“ ამარა არ დავრჩეთ...



20 წლის ლევან ცქიტიშვილი უდავოდ გამოსარჩევია ამ თაობის დინამოელთაგან. სხვისი არ ვიცი, მე კი ამ ბიჭს ამ ოთხი წლის წინ დავადგი თვალი, როცა წყალტუბოში ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ვიხილე. ნიკა ამირეჯიბი მაშინ ნახევარდაცვაში ათამაშებდა და გუნდის ყველა შეტევის წამომწყები სწორედ ლევანი იყო. თანაც წინ დემეტრაძე და იაშვილი ჰყავდა.

ლევანი ექვსი წლისა მიუყვანიათ „ავაზაში“ და თავად დიდი მიშა მესხი ავარჯიშებდა, მერე კი როლანდ კიზირიასი და რომან მელიქიძის შეგირდი გახდა. იმ ჯგუფში ვარჯიშობდა კიდევ ერთი ლევანი — კობიაშვილი. ცქიტიშვილს ჯერ თავდასხმაში ათამაშებდნენ, მერე — ნახევარდაცვაში.

ცქიტო ახალგაზრდულ ნაკრებში ნახა „დინამოს“ მაშინდელმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ და ბესო კირვალიძეს დაავალა, ეგ ბიჭი გუნდში მომიყვანეო. ასე მოხვდა ლევანი „დინამოში“, მალე ძირითადშიც ანდეს ადგილი, თავის პირველ სეზონში, 1993-94 წლებში 20 მატჩიც ითამაშა და ორი გოლიც შეაგდო. ევროთასებზეც იმ წელსვე ჰქონდა დებიუტი. მერე ბედმა უმუხთლა, ჯერ ერთ ფეხზე დაემართა მენისკი, მერე — მეორეზე. გამოჯანმრთელებული ცქიტო ნელ-ნელა ათამაშდა და, რაოდენ გასაკვირი და პარადოქსულიც უნდა იყოს, მასზე დიდი წარმოდგენა აშხაბადის სამარცხვინოდ ნათამაშევ ტურნირზე შემექმნა. კრიტიკულ მომენტში ყველაზე რთულ საქმეს — ბურთის გაგორებას, სადავეების ხელში აღებას, თამაშის გაძღოლას — სწორედ ცქიტიშვილი ცდილობდა. აკობია უმალ მაჭავარიანს დააყენებდა ხოლმე უკანა მცველად, ლევანს კი წინ ამოქმედებდა. ამის მერე თამაში იცვლებოდა და ჩვენების უპირატესობა აშკარა ხდებოდა. ეგ იყო, გოლები ვერ გაჰქონდათ. აშხაბადურ რეპორტაჟებში რამდენჯერმე ვახსენე ცქიტოს საოცარი გარღვევა უკრაინელებთან, ყველას რომ პირი დაალებინა:

— მეტოქის შეტევა ზედ საჯარიმოს ხაზთან ჩავჭერი და დავიძარი. გრძელ რეიდს არ ვაპირებდი, მაგრამ არავინ გამეხსნა. ცენტრამდე რამდენიმე მეტოქეს გავცდი, მივიხედ-მოვიხედე, კვლავ ვერავისთან გავითამაშებდი კედელს და ისევ შეტევის ეულად გაგრძელება ვარჩიე. მეკარესთან პირისპირ რომ გავედი, ოდნავ მარჯვნივ ვიყავი, კი შეიძლებოდა მეკარის მოტყუებაზე ფიქრი და კარში დარტყმა, მაგრამ ზურგს უკან გოგიჩაიშვილი მეგულებოდა და ცრუ მოძრაობით თან მეკარეც გამოვიტყუე, თანაც გოგიჩას დავუტოვე ბურთი. კახა ოღროჩოღრო მინდორმა დაალალატა და ცარიელ კარს გადააცილა.

**— შენი არ ვიცი, მაგრამ ფეხბურთელთა უმრავლესობა იმ მომენტში მეკარის მოტყუებას და გოლის გატანას შეეცდებოდა, რადგან ასეთი რამ ყოველ მატჩში არ ხდება...**

— არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ მე ასეთი ჩვევა მაქვს და გნებავთ, დამიჯერეთ, გნებავთ — არა, მაინც უნდა ვთქვა: ჩემს მიერ გატანილ გოლს თანაგუნდელისთვის მიცემული საგოლე პასი მირჩევნია. ძალიან მსიამოვნებს, როცა შავ სამუშაოსაც შევასრულებ, მეტოქეებსაც ჩამოვიცილებ და თანაგუნდელს საგოლე პოზიციაზე გავიყვან. ბავშვობიდან მომყვება ეს ჩვევა.

**— უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ თურქმენულ ფიასკოზე შენც დაგეკითხები.**

— საბრძოლო განწყობით არ გავედით სათამაშოდ, გვეგონა ისეც მოვიგებდით, მაგრამ ჩვენს გასაკვირად ვერ ვიგებდით! თამაშის წინ მობილიზაციის აუცილებლობა დავივიწყეთ. ჩვენი ბრალია, მწვრთნელის არცერთი დავალება არ შევასრულეთ. ერთი იმით ვიმშვიდებთ თავს, რომ ეს მოსამზადებელ პერიოდში შეგვემთხვა და არა ჩემპიონატში. ისე, შეიძლება ერთის მხრივ კარგიც კი იყოს — უფრო მონდომებულები და მობილიზებულები შევხვდებით მეორე წრეს. ჩემპიონატში უნდა დავამტკიცოთ, რომ აშხაბადური კრახი შემთხვევითი იყო.

**— გუნდის განწყობაზე როგორ იმოქმედა ამდენმა წაგებამ? „დინამოს“ ზედიზედ სამი მარცხი, არც ამხანაგური, არც ოფიციალური, მე არ მახსოვს.**

— ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდება, მაგრამ სტრესი უნდა დავძლიოთ. ვარჯიშებზე ვატყობ, რომ ამას შევძლებთ. ყველაფერს ზუგდიდში თამაში გამოაჩენს.

**— აშხაბადური წაგებები იმდაც ხომ არ იყო მარგებელი, რომ ახალგაზრდებს დაგანახათ თქვენი სუსტი პროფესიონალური დონე?**

— ასეა: არ მიუდგები საქმეს პროფესიულად და დაისჯები კიდეც. ეს ტურნირი ამის დადასტურება იყო.

**— ამ სეზონს, ისეთი პირი უჩანს, უკანა მცველად დაიწყებ. სხვისი არ ვიცი, მე კი მგონია რომ გამოცდილების შეძენის შემდეგ კარგი ლიბერო დადგები...**

— უკანა მცველად გუცაევმა დამაყენა ბათუმში, ინგლისელების წინააღმდეგ და მითხრა, მგონი, ადგილი მოგიძებნეო. ჩემი მეორე მატჩი ლიბეროდ კვლავ ინგლისელებთან ჩავატარე — შარშანდელ ტურნეში „ბორნმუთთან“ ლობჟანიძემ ფეხი იტკინა და ყიფიანმა უკანა მცველად დამაყენა. ახლაც, იანვრიდან, რაც მზადება და თამაშები დაიწყო, თითქმის სულ უკანა მცველად ვითამაშე.

**— შენ სად გირჩევნია თამაში?**

— ბავშვობიდან მივეჩვიე ცენტრალურ ნახევარმცველობას და ეს ამპლუა მირჩევნია, მაგრამ სადაც მწვრთნელი მეტყვის, იქ ვითამაშებ. ალბათ გახსოვს, ნახევარდაცვაში მარცხნივაც მითამაშია და მარჯვნივაც. სადაც მწვრთნელი ჩათვლის საჭიროდ, მეც იქ ვითამაშებ.

---

დავით ყიფიანი: ცქიტიშვილის ლიბეროობა იძულებითია, რადგან კუდინოვის და ლობჟანიძის წასვლისა და მაჭავარიანის ტრავმის მერე ამ ამპლუის ფეხბურთელი აღარ დაგვრჩა. ლევანს კარგად ესმის თამაში, კარგად ამოაქვს ბურთი, თუ საჭიროა, შეტევებშიც ერთვება და ცაციითაც უძლიერესად ურტყამს. ამიტომაც ვარჩევ ლიბეროობას, ვინ იცის, როდის გამოგვადგება. ჩემპიონატს კი ლევანი ალბათ ნახევარდაცვაში დაიწყებს, მაგრამ თუ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, უკან დავწევ...

---

**— სხვა დინამოელთა დარად, შენც ხომ არ გიჭირავს თვალი უცხოეთზე?**

— რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, დღეს ასეა — თუ დიდი ფეხბურთის თამაში გსურს, უცხოეთში უნდა წახვიდე. მე კი, როგორც გითხარით, ბავშვობიდანვე ვოცნებობდი დიდ ფეხბურთელობაზე, ამიტომაც მიმიწევს გული საზღვარგარეთ.

**— ჯერ ხომ 20 წლისა ხარ, დაოსტატება ჯერჯერობით აქაც შეგიძლია...**

— წასვლის სურვილი რომ მაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღესვე, ახლავე თავქუდმოგლეჯილი გავიქცე. უცხოეთში მანამდე არ წავალ, სანამ არ ვიგრძნობ, რომ აქ მეტად ველარ გავიზრდები. გარდა ამისა, „დინამოს“ მანამ არ მივატოვებ, სანამ არ შევიტყობ, რომ ჩემს ადგილს ნიჭიერი ახალგაზრდა იკავებს, მე კი მას ხელს ვუშლი. რაც უნდა იყოს, მთელი ცხოვრება „დინამოს“ მაისურზე ვოცნებობდი და ასე ხელაღებით ამ კლუბის მიტოვება, მითუმეტეს ახლა, როცა გუნდი უკვე მერამდენედ გაახალგაზრდავდა, არაფრით იქნება. „დინამოსგან“ ძალიან დავალებული ვარ.

**— ახალგაზრდობის მიუხედავად იმდენი ტრავმა გადაიტანე, ბევრ ვეტერანს არ უნახავს. ეს რისი ბრალია?**

— ალბათ გამოუცდელობისა და ახალგაზრდული ასაკის. იმის მიუხედავად, რომ ჯერ 20 წლისა ვარ, ვთვლი, რომ უკვე სხვაგვარად, უფრო ასაკოვანის პოზიციიდან ვუყურებ ჩემს პროფესიას. ჯანმრთელობასაც უფრო ვუფრთხილდები, რადგან მივხვდი, რომ ფეხბურთი ჩემი პროფესიაა. მან უნდა მაცხოვროს.

**— რამ გამოიწვია ასეთი სახეცვლილება?**

— რამდენიმე თვეა, ცოლი მოვიყვანე. მაკა ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ოქროსუბანში. ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთი, ჩემზე სამი წლით უმცროსია. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მივედი დავით ყიფიანთან და ვუთხარი — ცოლის მოყვანას ვაპირებ და რას მირჩევთ-მეთქი. ყიფიანი გადაირია, დაფიქრდი, არ აჩქარდე, ახლა თამაშები გვაქვს, ეგ მეტად სერიოზული ნაბიჯიაო. მეც მოვიცადე, სანამ თამაშები დამთავრდებოდა: 12 დეკემბერს ლიბანიდან ჩამოვიდა ნაკრები, 14 დეკემბერს კი ცოლი მოვიყვანე. მადლობა ღმერთს, სეზონი დამთავრებული იყო და თითქმის თვე დასვენებამ მოგვიწია. ქორწილიც „დინამოს“ დახმარებით გადავიხადე „ბერიკონში“. ჩემი მეჯვარეები იაშვილი, კიკნაძე და ჩემი მეგობარი, დიდი მიშა მესხის მეორე ვაჟი მამუკა იყვნენ. მოკლედ, ამხელა ამბავი იმიტომ მოვყევი, რომ მეთქვა, დაოჯახება ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. როცა მამა გავხდები, დადინჯება მერე ნახეთ...

**— ეროვნულ გუნდშიც უკვე ოთხი მატჩი ითამაშე...**

— ნაკრების მაისურის ჩაცმა მართლაც დიდი ბედნიერება და ღირსების საქმეა. მერე იმასაც ცდილობ, კლუბში თამაში ნაკრებისთვის მოსამზადებლად გამოიყენო. არ ვიცი, სხვა როგორ ფიქრობს, მე კი ვთვლი, რომ ჩვენს ნაკრებს ინგლისის დამარცხებაც შეუძლია და იტალიისაც. იმას არ ვამბობ, აუცილებლად მოვუგებთ-მეთქი. პოტენცია გვაქვს საიმისოდ, რომ მოვუგოთ. „უემბლიზე“ მოგების შანსი გვაქვს. აქ მთავარი ფაქტორი, ჩემი აზრით, ფსიქოლოგიური მზადყოფნა იქნება. უნდა დავძლიოთ წაგების ფსიქოლოგია: „დინამომ“ აშხაბადის მერე, ნაკრებმაც — იტალია-ინგლისის მერე, მაქსიმალურად გაიღე ყველაფერი და დაუმარცხებელი არავინაა...

იცი, რა არის ჩემი ოცნება? საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშო. საფრანგეთში მოხვედრის შანსი უმცირესია, მაგრამ მაინც არის. თუ ეს ასე არ მოხდა, თავს იმით დავიმშვიდებ, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და შანსი კიდევ მომეცემა. თანაც იმის იმედი მაქვს, რომ იმ დროისთვის ქვეყანა დალაგდება და ეს ჩვენს ფეხბურთსაც დაეტყობა. იქნებ იმ დროისათვის ჩემი მეორე ოცნებაც ავისრულო და ესპანეთში, ანაც ინგლისში ვითამაშო რომელიმე ძლიერ გუნდში.

**— სად გირჩევნია თამაში: „დინამოში“, რომელიც მუდამ ევროთასებზე თამაშობს, თუ ინგლისურ გუნდში, რომლისთვისაც ევროთასებზე მოხვედრა დიდი ფუფუნებაა?**

— „დინამოზე“ უკვე გითხარით — სანამ კლუბს ვჭირდები, არსად წავალ-მეთქი, მაგრამ თუ ყველაფერი კარგად იქნა და საქმე არჩევანზე მიდგა, რა თქმა უნდა, უცხოეთში თამაშს ვარჩევ.

**მამუკა ქვარაცხელია**

# ერევნიდან ასუნსიონამდე

**ზუსტად ერთ თვეში ჩვენი ეროვნული [illegible] მზადებას დაიწყებს — 30 მარტს თბილისში სომხეთის ნაკრებს უმასპინძლებს. დამოუკიდებელ სომხურ ფეხბურთზე აქამდე ბევრი არაფერი გვსმენოდა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირში მათ გამოსვლას თუ არ ჩავთვლით. დღეს ჩვენს მეზობლებზე მცირე სტატისტიკურ მონაცემებს გთავაზობთ.**

## სომხეთის ნაკრების ყველა მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.10.1992 | ერევანი | სომხეთი — მოლდოვა | 0:0 |
| 15.05.1994 | ფულერტონი | აშშ — სომხეთი | 1:0 |
| 16.07.1994 | ერევანი | სომხეთი — მალტა | 1:0 |
| 07.09.1994 | ბრიუსელი | ბელგია — სომხეთი | 2:0 |
| 08.10.1994 | ერევანი | სომხეთი — კვიპროსი | 0:0 |
| 16.11.1994 | ლიმასოლი | კვიპროსი — სომხეთი | 2:0 |
| 26.04.1995 | ერევანი | სომხეთი — ესპანეთი | 0:2 |
| 10.05.1995 | ერევანი | სომხეთი — მაკედონია | 2:2 |
| 07.06.1995 | სევილია | ესპანეთი — სომხეთი | 1:0 |
| 16.08.1995 | ერევანი | სომხეთი — დანია | 0:2 |
| 06.09.1995 | სკოპიე | მაკედონია — სომხეთი | 1:2 |
| 07.10.1995 | ერევანი | სომხეთი — ბელგია | 0:2 |
| 15.11.1995 | კოპენჰაგენი | დანია — სომხეთი | 3:1 |
| 05.06.1996 | ვილნევი | საფრანგეთი — სომხეთი | 2:0 |
| 20.06.1996 | ლიმა | პერუ — სომხეთი | 4:0 |
| 25.06.1996 | ასუნსიონი | პარაგვაი — სომხეთი | 1:2 |
| 30.06.1996 | პორტოვეხო | ეკვადორი — სომხეთი | 3:0 |
| 31.08.1996 | ერევანი | სომხეთი — პორტუგალია | 0:0 |
| 05.10.1996 | ბელფასტი | ჩრდ. ირლანდია — სომხეთი | 1:1 |
| 09.10.1996 | ერევანი | სომხეთი — გერმანია | 1:5 |
| 09.11.1996 | ტირანა | ალბანეთი — სომხეთი | 1:1 |
| 04.01.1997 | ვინია-დელ-მარი | ჩილე — სომხეთი | 7:0 |
| 06.01.1997 | ასუნსიონი | პარაგვაი — სომხეთი | 2:0 |

## სომხეთის ეროვნული გუნდი

| | | | თ. | გ. |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| რომან ბერეზოვსკი | 05.08.1974 | ზენიტი (სანქტ-პეტერბურგი) | 3 | |
| არმენაკ პეტროსიანი | 13.11.1973 | სიმან-სიფზანი (ისფაჰანი, ირანი) | 6 | |
| არმენ ავაქიანი | 07.06.1962 | პიუნიკი (ერევანი) | 2 | |
| **მცველები** | | | | |
| მიშელ ტერ-ზაქარიანი | 18.02.1963 | მონპელიე (საფრანგეთი) | 2 | |
| ვარდან ხაჩატრიანი | 29.10.1968 | პიუნიკი (ერევანი) | 15 | |
| სარქის ოსეპიანი | 02.11.1972 | პიუნიკი (ერევანი) | 23 | |
| არუთინ ვარდანიანი | 05.12.1970 | შირაქი (გიუმრი) | 20 | |
| სარქის ოჰანესიანი | 17.08.1968 | ლოკომოტივი (მოსკოვი) | 10 | |
| ერვანდ სუქიასიანი | 20.01.1967 | კავალა (საბერძნეთი) | 13 | |
| ერვანდ კრბაშიანი | 01.10.1971 | ერევანი (ერევანი) | 9 | |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| რაზმიკ გრიგორიანი | 11.10.1971 | ცსკა (სოფია, ბულგარეთი) | 13 | 2 |
| ჰამლეტ მხითარიანი | 24.11.1973 | პიუნიკი (ერევანი) | 21 | |
| ვარდან მინასიანი | 05.01.1974 | პიუნიკი (ერევანი) | 8 | |
| არამაის ტონოიანი | 26.10.1969 | პიუნიკი (ერევანი) | 17 | |
| არტურ პეტროსიანი | 17.12.1971 | შირაქი (გიუმრი) | 23 | 1 |
| აკოფ ტერ-პეტროსიანი | 31.08.1971 | არარატი (ერევანი) | 14 | 1 |
| გაგიკ მანუკიანი | 14.01.1975 | შირაქი (გიუმრი) | 2 | |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| კარაპეტ მიქაელიანი | 27.09.1969 | იუკონგი (კორეა) | 5 | 1 |
| ერიკ ასადურიანი | 24.09.1966 | გინგამი (საფრანგეთი) | 3 | 1 |
| არსენ ავეტისიანი | 08.10.1973 | პიუნიკი (ერევანი) | 20 | 1 |
| ვარაზდატ ავეტისიანი | 11.10.1972 | პიუნიკი (ერევანი) | 18 | 1 |
| ტიგრან ესაიანი | 02.06.72 | ერევანი | 6 | 1 |
| არმენ შაჰგელდიანი | 28.08.1973 | პიუნიკი (ერევანი) | 12 | 2 |
| გარნიკ ავალიანი | 06.09.1962 | კრილია სოვეტოვი (სამარა) | — | |
| არა ადამიანი | 06.06.1973 | შირაქი (გიუმრი) | 3 | |
| არმენ სანამიანი | 01.02.1966 | პიუნიკი (ერევანი) | 2 | |



სომეხთა მთავარი მწვრთნელი ხორენ ოგანესიანი ერევნის ოპერის შენობის ფონზე

# ფრანგებს ღონე ერჩით, გერმანელებსაც...

## ამხანაგური მატჩები

### საფრანგეთი 2:1 ჰოლანდია

**საფრანგეთი: ლამა, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ (კანდელა 87), ბა (ლოკო 78), კარემბუ, ლეილი (პირე 32), ვიეირა (ნგოტი 78), ზიდანი, დუგარი**
**ჰოლანდია: ვან დერ ხარი, რაიციგერი, ხტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, იონკი, რ. დე ბური, ზეედორფი (ოვერმარსი 72), კოკუ (ვან ბრონკჰორსტი 78), ბერხკამპი, კლუივერტი**
**გოლი: ბერხკამპი (3), პირე (74), ლოკო (84)**

შეცვლაზე შესულმა, შინაურ კლუბებში მოთამაშე პატრიკ ლოკომ და რობერ პირემ, ჰოლანდიელებთან შეხვედრის ბოლო 16 წუთში გატანილი გოლებით გაისინდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებს გამარჯვება მოუტანეს. მანამდე ფრანგები 0:1-ს აგებდნენ. დასაწყისშივე ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელმა დენის ბერხკამპმა რონალდ დე ბურის პასი დაამუშავა და 25 მეტრიდან საუცხოო გოლი გაუტანა ტრავმის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებულ ბერნარ ლამას. 74-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან დარტყმულით პირემ გაქვითა, ათი წუთის შემდეგ კი პარიზელმა ლოკომ მილანელი კრისტოფ დუგარის მარჯვე მარჯვენაფლანგური გარღვევა გამარჯვების გოლით დაასრულა. პირველ ნახევარში ბერხკამპს ერთი ბურთის შეგდებაც შეეძლო, მან კარგად გაიკაფა გზა მასპინძელთა კარისკენ, მაგრამ ლამამ არე შეუზღუდა, გვიანი დარტყმული კი ფრანგთა კაპიტანმა ლორან ბლანმა ხაზთან გააუვნებლა.

— ეს გამარჯვება მსოფლიოს პირველობისთვის მომზადების საქმეში დიდად წაგვადგება — თქვა მატჩის შემდეგ სამფეროვანთა თავკაცმა ემე ჟაკემ. ჰოლანდიელთა ავადმყოფი მწვრთნელის შემცვლელმა იან რაბმა კი განაცხადა: — პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩავატარეთ, ბურთს ჩინებულად ვაკონტროლებდით, მეორე ნახევარი კი სრულიად განსხვავებული გამოდგა. ჩვენი ფეხბურთელები მეტისმეტად ინდივიდუალურ თამაშზე გადავიდნენ და მეტოქეს ერთობ სახიფათო კუთხურები აჩუქეს.

ბერხკამპის სწრაფმა გოლმა ჟაკეს გეგმის შეცვლა აიძულა. თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად ფრანგებს სამი ნახევარმცველი, ორი მათკენ დაწეული ფორვარდი და ერთი მეგოლე უნდა ჰყოლოდათ, მაგრამ 32-ე წუთზე ერთ-ერთი ნახევარმცველის, „სამპდორიაში" მოთამაშე პიერ ლეილის ნაცვლად მოედანზე „მეცის" განაპირა მცველი პირე გამოჩნდა. რაც შეეხება კიდევ ორ ნახევარმცველს, ისინი იყვნენ კრისტიან კარემბუ და პატრიკ ვიეირა, რომელიც არსენალელ თანაგუნდელს, ბერხკამპს პირადად მეურვეობდა.

შეცვლამდე, მატჩის დასაწყისში, ბერხკამპი მოედნის სიღრმიდან უტევდა მეტოქის კარს, ხოლო ფრანგთა დაცვის მარცხენა ფრთაზე მიხაელ რაიციგერის სახიფათო გარღვევებს არავინ აჩერებდა.

— მალევე მომიხდა ჩარევა, გუნდის სტაბილურობის აღსადგენად რაღაც-რაღაცეები შევცვალე. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კარგი თამაში გაიმართა. იგი სამომავლოდ გასათვალისწინებელი მომენტებით იყო აღსავსე.

„ბარსელონას" მცველმა, ტრავმის გამო დიდიე დეშამპის არყოფნაში კაპიტნად დასმულმა ლორან ბლანმა, შეხვედრის შემდეგ ჰოლანდიელთა ტექნიკა ერთობ შეაქო.

— როდესაც ჩვენ მთელი აქცენტი ძალისმიერ თამაშზე გადავიტანეთ, მათ თანდათან დათმეს პოზიცია. გარდა იმისა, რომ ფიზიკურ მომზადებაში მეტოქეს ვაჯობეთ, სხვაგვარადაც გამოვიჩინეთ თავი და ეს მომავლის იმედს გვისახავს — თქვა მან.

ფრანგებმა დიდი ძალისხმევით შეძლეს სტუმრები მათთვის ჩვეული კალაპოტიდან ამოეგდოთ, არადა ჰოლანდიელთა სტილი ისაა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სამ თამაშში ცამეტი გოლი რომ გაატანინა.

### ისრაელი 0:1 გერმანია

ევროპის ჩემპიონმა თელ ავივში დაამარცხა ისრაელი. შეხვედრას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მხოლოდ საფეხბურთო, მაგრამ არც ამ მიზნით იყო უვარგისი. მატჩის ერთადერთი გოლი გერმანელთა დებიუტანტმა დარიუშ ვოშმა გაიტანა 85-ე წუთზე. მან მასპინძელთა შეცდომით ისარგებლა. ისრაელის ნაკრების მცველმა გადი ბრუმერმა თავით ბურთის მეკარისთვის, რაფი კოენისთვის გადაგდება მოიწადინა და სწორედ ეს პასი ჩაჭრა ახალწვეულმა.

— ჩვენ მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოვავლინეთ გამარჯვებისთვის აუცილებელი სათამაშო აგრესია — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა.

ისრაელის თავკაცმა შლომო შარფმა განაცხადა: ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის წინააღმდეგ მცირედი რიდით ვითამაშეთ. ფრე მატჩის შინაარს უკეთ ასახავდა.

მატჩს, რომელიც „რამათ განის" სტადიონზე, მხოლოდ 15 ათასი გულშემატკივრის თანდასწრებით მიმდინარეობდა, ისრაელის ტელევიზიაც გადასცემდა და გერმანიისაც. აღსანიშნავია, რომ სტუმართა ჰიმნს ებრაელ ქომაგთა ერთმა ნაწილმა უსტვინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს ამ გუნდების მეორე შეხვედრა იყო. პირველი, იქვე, თელ ავივში, გერმანიამ ამავე ანგარიშით მოიგო.

### ჩეხეთი 4:1 ბელარუსი

**1:0 ჟაგნერი (12), 1:1 რაზუმოვი (40), 2:1 რადა (63), 3:1 რადა (68), 4:1 ბერგერი (71)**

### ბრაზილია 4:2 პოლონეთი



ბურთისთვის კლარენ ზეედორფი და იბრაჰიმ ბა იბრძვიან

## ინგლისი

პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

### საუთჰემპტონი 0:0 უიმბლდონი

**საუთჰემპტონი: ტეილორი, დოდი, ჩარლტონი, ბენალი, ლუნდეკვამი, სლეიტერი (ვან გობელი 80), მეჯილტონი, ლე ტისიე, ოსტენსტადი, ბერკოვიჩი, ნილსონი**
**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯაპი (მაკალისტერი 81), ბლექველი, პერი, ერდლი, ფეარი, გეილი (ჰოლდსუორსი 60), ერლი, ეკოკუ (გუდმენი 72)**

ლონდონელებს ტრავმირებული კაპიტანი ვინი ჯოუნზი კი აკლდათ, მაგრამ ქულის მოპოვება მაინც არ გასჭირვებიათ და პრემიერლიგის მეხუთე საფეხურზე აინაცვლეს — „ასტონ ვილას" ბურთების სხვაობით სჯობნიან. „საუთჰემპტონმა" წინა მატჩი წააგო, ამიტომაც იყო, დასაწყისიდანვე რომ ფიცხლად ეკვეთა მეტოქეს. თუმცა, ნანატრი გოლი მალევე კი არა, მთელ შეხვედრაშიც ვერ გაიტანა. ჯოუნზის არყოფნის მიუხედავად „უიმბლდონის" დაცვა გააზრებულად და უშეცდომოდ მოქმედებდა. მე-9 წუთზე თანაგუნდელთა შეტევა ლე ტისიემ ერთობ უზუსტო დარტყმით დააგვირგვინა — ბერკოვიჩის პასის შემდეგ დაახლოებით ათი მეტრიდან კარს საკმაოდ გადააცილა. ტაიმის შუაში მეტოქეებმა სახიფათო შეტევები გაცვალეს, თუმც ორივე მეკარემ ივაჟკაცა. 33-ე წუთზე ლე ტისიემ კუთხური ჩააწოდა, დოდმა ოსტენსტადს დაუგდო, ნორვეგიელმა კი გვარიანად ააცილა. შესვენების შემდეგ ლე ტისიემ კვლავ ჩააწოდა კუთხური, მაგრამ ოსტენსტადის მსგავსად ამჯერად ნილსონმა ვერ ივარგა. მალე ბერკოვიჩმა უძლიერესად დაარტყა, მაგრამ საავადმყოფოდან ორი დღით ადრე გამოწერილმა და შეცვლაზე შესულმა ჰოლდსუორსმა ბურთი გამოიტანა. შეხვედრის დასასრულამდე ორი წუთით ადრე კი მანვე სამი ქულის მოპოვების შანსი აცილებულ ბურთს გაატანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 27 | 15 | 9 | 3 | 53:30 | 54 |
| ლივერპული | 27 | 15 | 8 | 4 | 46:20 | 53 |
| ნიუკასლი | 26 | 14 | 6 | 6 | 51:30 | 48 |
| არსენალი | 28 | 13 | 9 | 6 | 45:26 | 48 |
| უიმბლდონი | 25 | 12 | 7 | 6 | 37:28 | 43 |
| ასტონ ვილა | 27 | 12 | 7 | 8 | 34:26 | 43 |
| ჩელსი | 25 | 11 | 9 | 5 | 39:34 | 42 |
| შეფილდი | 26 | 9 | 12 | 5 | 31:31 | 39 |
| ლიდსი | 27 | 9 | 6 | 12 | 22:31 | 33 |
| ევერტონი | 26 | 8 | 8 | 10 | 34:38 | 32 |
| ტოტენჰემი | 26 | 9 | 5 | 12 | 30:37 | 32 |
| ლესტერი | 25 | 8 | 6 | 11 | 29:37 | 30 |
| დერბი | 27 | 6 | 11 | 10 | 27:36 | 29 |
| სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 23:33 | 29 |
| ბლექბერნი | 25 | 6 | 10 | 9 | 26:25 | 28 |
| ქოვენთრი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:35 | 28 |
| ვესტ ჰემი | 26 | 6 | 7 | 13 | 24:36 | 25 |
| ნოტინგემი | 26 | 5 | 9 | 12 | 23:40 | 24 |
| საუთჰემპტონი | 25 | 5 | 6 | 14 | 34:44 | 21 |
| მიდლსბრო | 25 | 5 | 7 | 13 | 30:45 | 19 |

## სადაც შეხვდებიან...

მანჩესტერელ პიტერ შმაიხელსა და ლონდონელ იან რაიტს შორის წარმოქმნილმა კონფლიქტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ გორდონ ტეილორმა განაცხადა, თუ შმაიხელი და რაიტი ერთმანეთს შეხვდებიან და საჯაროდ იტყვიან სიმართლეს, შესაძლოა, სასამართლოც აიცილონ თავიდან და ფეხბურთის ასოციაციის სასჯელიც. „ფედერაციის თანხმობით დავუკავშირდით „მანჩესტერ იუნაიტედს" და „არსენალს", ასევე შმაიხელს, რაიტს და კლუბების ხელმძღვანელობას. ვიმედოვნებ, რომ ორივე მხარე დაგვყაბულდება შეხვედრაზე. მალე ამ სამარცხვინო კონფლიქტს ბოლო მოეღება. ფედერაცია ყველაფერს დაწვრილებით შეისწავლის, დამნაშავეს მკაცრი სასჯელი არ ასცდება" — ბრძანა ტეილორმა. შმაიხელს იმაში ედება ბრალი, რომ რაიტი რასისტული გამონათქვამებით შეურაცხყო. „არსენალისა" და „იუნაიტედის" ამასწინდელი მატჩის დროს დანიელის გამოხდომა ჩხუბის მიზეზი შეიქნა. ეს პირველი შემთხვევა არ არის. ნოემბერში „ოლდ ტრეფორდზე" ფეხბურთელები უჩხუბრად ვერ დაშორდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით რაიტმა პიტერი დაადანაშაულა — ჩხუბის მოთავე იგია, რადგან რასისტული შეძახილებით ტვინი შემიჭამაო.

ტეილორის განცხადებით, სხდომას, რომელზეც ეს საქმე გაირჩევა, კლუბის მწვრთნელები ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი, ასევე მოთამაშეთა ადვოკატები დაესწრებიან.

## სასამართლოს დარბაზიდან — 12



ვინჩესტერის სასამართლოში მთავარმა ბრალმდებელმა დევიდ კალვერტ სმიტმა ნაფიც მსაჯულებს მოუწოდა „მისდიონ ფულს" და არ მოექცნენ გარემოებათა გავლენის ქვეშ, ანუ:

— შეუძლებელია ამ საქმეში არ ვუფრთხილდეთ დამატებით ფაქტორს. ამ ფაქტორს ბრალდებულთა მდგომარეობა ჰქვია, ისინი ვარსკვლავები არიან. თუ სასამართლო თავის ფუნქციას ასრულებს, თუ ის მართალია, მაშინ ნაფიცმა მსაჯულებმა, ქალებმა თუ კაცებმა, უნდა მოიშორონ ყოველგვარი გრძნობა, სიმპათია, აღფრთოვანება, წინასწარი განწყობა... წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ კანონი სხვაგვარად მოქმედებს მდიდრებისა და ცნობილი ადამიანებისთვის, ჩვენთვის კი სხვაგვარად.

როგორც ჩანს, პროცესი დასასრულს უახლოვდება. ცალკეული საფეხბურთო ეპიზოდების გარჩევით ვერაფერი მტკიცდება. ვთქვათ, მეკარემ გოლი გაუშვა, თუნდაც პირადი შეცდომის გამო, განა ეს ნიშნავს იმას, რომ მას ქრთამი აქვს აღებული? ბრალმდებელმა სხვა ხერხს მიმართა:

— ნებისმიერი ფეხბურთელის შესაძლებლობა შეზღუდულია თანაგუნდელების და მეტოქის მიერ. ვერავინ ვერავის მისცემს გარანტიას, რომ მატჩს ამა თუ იმ ანგარიშით დაასრულებს, მითუფრო 50 ათასიანი პუბლიკისა და მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე. ამასთან, ზოგადად მეკარეები შეცდომებს უშვებენ ხოლმე და ამიტომ რომელიღაც მორივი შეცდომა საგანგებო ყურადღების, ეჭვის საგნად არასდროს იქცევა ხოლმე. თუ მოთამაშემ ქრთამი აიღო, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ფულის მიმცემისთვის სასურველ შედეგს მიაღწევს, ამიტომ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ არა იმას, დაუშვა თუ არა ფეხბურთელმა შეცდომა, არამედ იმას, აიღო თუ არა ფული.

შეგახსენებთ, ერთ-ერთ ბრალდებულს, ზიმბაბვეს ნაკრების მეკარეს, ყოფილ ლივერპულელს ბრიუს გრობელაარს, 1993 წლის ნოემბერში, „ნიუკასლ" — „ლივერპულის" მატჩში (3:0) გოლების გაშვებისთვის მეორე ბრალდებულისგან, ჯონ ფაშანუსგან, შორეული აღმოსავლეთის სანიძლაო სინდიკატთან შეკრული მესამე ბრალდებულის ჰენგ სუან ლიმის ფულის, 40 ათასი გირვანქის აღებაში ადანაშაულებენ.

— თუ იყო ისეთი შეთანხმება, რომ „ნიუკასლის" გამარჯვების შემთხვევაში ბატონი გრობელაარისთვის ფული უნდა მიეცათ; თუ აქ იგულისხმებოდა, რომ ბატონ გრობელაარს ყველა ღონე უნდა ეხმარა თავისი გუნდის დასამარცხებლად; თუ დასახული შედეგის მიღწევის შემდეგ ლიმმა ფაშანუს ხელით მართლა გადასცა გრობელაარს ფული, მაშინ ბატონი გრობელაარი და დანარჩენები დამნაშავენი არიან — თქვა კალვერტ სმიტმა.

სხდომაზე 31 წლის მალაიზიელ ბიზნესმენზე ჰენგ სუან ლიმზეც ითქვა.

— ყოველ დილით შინაგან ხმას ჩვენ, გრობელაარის და სხვათა სასამართლოზე მივყავართ, მაგრამ სინამდვილეში ეს ლიმის და სხვათა პროცესია. უბრალოდ, მოკლედ, პროცესებს პირველად დასახელებული ბრალდებულის გვარის მიხედვით იხსენიებენ ხოლმე — განაცხადა პროკურორმა — სასამართლომდე ბატონ გრობელაარზე ბევრი ამ გვსმენოდა, მაგრამ განა ვიცოდით, რაიმე ბატონი ლიმის შესახებ? რა როლს თამაშობს ბატონი ლიმი ამ ქვეყანაში? რატომაა მთელ ამ ფულთან იგი კავშირში? რატომ ხარჯავს დიდძალ ფულს ან რატომ დაუმეგობრდა ორ მეკარეს? მე გირჩევთ ჩვენი რჩევის თანახმად საკითხს თანმიმდევრულად მიყვეთ, რათა საბოლოოდ ყველაფერი ნათელი გახდეს.

გარდა ბრალდებულის მიერ ნაფიც მსაჯულთა [illegible] გზაზე დაყენებისა, დამსწრე საზოგადოებამ მოწმეების [illegible] ჩვენებაც მოისმინა.

მოწმე ტრევორ ჰიკსმა აღნიშნა, რომ „ჰილსბოროს" სტადიონზე დატრიალებული ტრაგედიის დროს მას ორი შვილი (გოგონები) დაეღუპა. მაშინ, 1989 წლის აპრილში, „ნოტინგემ ფორესტი" „ლივერპულს" ეთამაშებოდა. ტრაგედიის შემდეგ „ლივერპულმა" „ყულაბა" გახსნა დაზარალებულთა დასახმარებლად. ჰიკსი „ენფილდზე" მისულა და გრობელაარი გაუცვნია, რომელსაც მისთვის და მისი მაშინდელი მეუღლისთვის დიდი დახმარება აღმოუჩენია. მოწმემ განაცხადა, რომ ზიმბაბველი მეკარე მას გვერდით იმიტომ კი არ დაუდგა, რომ ასე ევალებოდა, არამედ იმიტომ, რომ მას გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცის დახმარება სურდა.

— მან ჩემთვის უამრავი რამ გააკეთა და ახლა მე აქ ვარ, რათა მას დავეხმარო — განაცხადა ჰიკსმა.

„ლივერპულის" ყოფილი მცველი ალან ჰანსენი და ინგლისის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გორდონ ბენქსი ექსპერტებად იყვნენ მიწვეულნი. ჰანსენმა განაცხადა გრობელაარს კარგ მეკარეს ვერ ვუწოდებ, იგი დიდი მეკარეაო. მას შესწავლილი ჰქონდა ზიმბაბველის მიერ გაშვებული გოლები.

— მის მიერ დაშვებული იშვიათი უხეში შეცდომები კი მისი სტილის ლოგიკური შედეგია — თქვა მან.

გორდონ ბენქსს ხუთი „ეჭვმიტანილი" მატჩი უნახავს და დაუსკვნია, რომ ერთადერთი, რომლისგან კარის ხსნაც გრობელაარს ალბათ შეეძლო 1994 წლის „ლივერპულ" — „ნორვიჩის" მატჩში (2:2) გაშვებული პირველი გოლი იყო.

ბოლოს ისევ დევიდ კალვერტ სმიტმა ითხოვა სიტყვა და ნაფიც მსაჯულებს დარბაზს გარეთ საქმის ყოველგვარი გარჩევისგან თავის შეკავება სთხოვა. ასე განსაჯეთ შინაც კი.

მორიგ სხდომაზე გრობელაარის ვექილმა როდნი კლივენმა ილაპარაკა. მან განაცხადა, რომ ბრალდების ერთადერთი საყრდენი მისი კლიენტის ყოფილი მეგობარი კრის ვინსენტია და რომ არა მისი ცრუ ჩვენებები, საქმე საერთოდ არ იარსებებდა. კლივენმა ვინსენტი დაახასიათა:

— ჩვენ შორის ერთი არამზადაა. არამზადები ხომ ყველგან არიან, მრავლად. ისინი სინამდვილეში არსებობენ და ლიტერატურაც მათი აღწერითაა სავსე. კრისტოფერ ვინსენტი გველია. მისებრი გარეწარს სახეს ერთი მწერალიც ვერ შექმნიდა. მას სიმართლე და სამართალი არ აღელვებს, მისი ინტერესი ორადორი რამით, საკუთარი თავითა და ფულითაა შემოსაზღვრული. ამ სასამართლოს შემწეობით რაც მეტ ფულს ჩაიჯიბავს, მით უფრო კმაყოფილი იქნება. შეუძლებელია ის ვინმეს გმირად ჰყავდეს წარმოდგენილი. მეგობრობა ვინსენტისთვის ხმარების საგანია. ის ბაზარში რომ იყიდებოდეს, გაყიდდა. საკუთარი მიზნის განსახორციელებლად ვინმეს მოსპობა რომ დასჭირდეს, მოსპობს. ყველაფერი რაც მან გითხრათ, მიუღებელია. იგი ბოროტია და უზომოდ ხარბი, მზადაა ნებისმიერი სიცრუით გაალამაზოს თავისი მონათხრობი და მოკაზმოს თავისი ბუდე.

და ბოლოს სიტყვა თვით მოსამართლემ, საიმონ ტაკმ ითხოვა:

— გიყვართ ფეხბურთი თუ არა, ეს სერიოზული პროცესია. სერიოზულია თავად ფეხბურთელისთვის, რამეთუ მათგან ვინც თამაშობს, მექრთამეობას არავინ ელის და ყველა, ვინც ამ თამაშს მექრთამეობის ლაფით მოსვრის, დაისჯება. ეს საქმე სერიოზულია ბრალდებულთათვისაც, რადგან თუ ისინი დამნაშავენი არიან, ცუდი დღე ელით. პროცესის მთავარი კითხვაა, არიან თუ არა ისინი თამაშების ჩაწყობასა ან საამისო მცდელობაში ჩათრეულნი. ჩვენმა სასამართლომ დიდი ინტერესი გამოიწვია, რისი მიზეზიც საკუთრივ დანაშაულის ხასიათი და ბრალდებულთა საზოგადოებრივი მდგომარეობაა. გთხოვთ ამან არ გაგიტაცოთ, არ იმოქმედოს მათმა განთქმულმა სახელმა. ნაფიცმა მსაჯულებმა მხოლოდდამხოლოდ მშრალად, ფაქტებზე დაყრდნობით უნდა იმსჯელონ.

სავარაუდოდ, ნაფიცი მსაჯულები ორშაბათს განმარტოვდებიან ბრალეულობის განსასჯელად.

სასამართლო გრძელდება.

**გიგა კოგახიძე**

# ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ნაკრების მოთამაშეებმა პროტესტი გამოთქვეს ფედერაციის მიერ ოთხთა ტურნირში გამარჯვებისთვის დაწესებული პრემიების გამო. ამ ტურნირს საფრანგეთი ივნისში უმასპინძლებს და მასში მასპინძელთა გარდა ბრაზილიის, იტალიის და ინგლისის ნაკრებები ითამაშებენ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ერთი მატჩის მოგებისთვის 8 ათასი დოლარი აღუთქვა ფეხბურთელებს, რამაც მათი გულისწყრომა გამოიწვია. 2 აპრილს შვედებთან შეხვედრამდე ფედერაციის კომისია შეხვდება ნაკრების წევრებს და პრემიების რაოდენობაზე მოელაპარაკება.

**ბელგიელი** ენცო შიფო ძალზე მოხარულია, რომ მომავალი სეზონიდან კვლავ ითამაშებს „ანდერლეხტში". შიფომ ბრიუსელის კლუბი ათი წლის წინ დატოვა. დღესდღეობით იგი „მონაკოში" თამაშობს და საკმაოდ ძლიერადაც. რამდენიმე დღის წინ მან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ანდერლეხტთან". მიუხედავად იმისა, რომ „მონაკოს" მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი აქვს, შიფომ მაინც გადაწყვიტა კლუბის დატოვება. ჯერჯერობით „მონაკო" საფრანგეთის ჩემპიონატში ლიდერობს, უეფას თასზე კი „ნიუკასლს" ეთამაშება.

**შოტლანდიის** „სელტიკის" ყოფილი კაპიტანი ბილი მაკნილი, ვინაც გუნდს 1967 წელს ჩემპიონთა თასის მოპოვებაში დაეხმარა, საავადმყოფოში იმყოფება. მას ინფარქტის ნიშნები აქვს. 57 წლის მაკნილი ბოლო დროს შოტლანდიის რადიოს კომენტატორად მუშაობდა. 1959-75 წლებში მან „სელტიკის" შემადგენლობაში 787 მატჩი ჩაატარა. მაკნილი ქვეყნის ყველა ტიტულს ფლობს და ევროპის რამდენიმე ჯილდოც მოუგია. 1960-70 წლებში ოცჯერ ითამაშა შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობაში.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბ „კრისტალ პალასის" მწვრთნელი დეივ ბესეტი პრემიერლიგის „ნოტინგემ ფორესტის" მწვრთნელად დაინიშნა. იგი ამ თანამდებობაზე მოთამაშე-მწვრთნელ სტიუარტ პირსთან ერთად იმუშავებს. 52 წლის ბესეტი 8 ნოემბერს „კრისტალ პალასს" ჩაუდგა სათავეში. მისი მისვლით კლუბს პრემიერლიგაში დაბრუნების შანსი გაუჩნდა, მაგრამ „კრისტალ პალასმა" ბოლო შეხვედრა წააგო და მწვრთნელი გადადგა. ბესეტის განცხადებით, „ნოტინგემში" გადასვლა მისთვის ყველანაირად მომგებიანი აღმოჩნდა.

**იტალიაში** მომუშავე როი ჰოჯსონი ივნისიდან „ბლექბერნის" მწვრთნელად დაინიშნება. ინგლისის 1995 წლის ჩემპიონს თავდაპირველად „სამპდორიას" შვედი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი ჰყავდა შეგულებული, მაგრამ მიზეზთა გამო გარიგება არ შედგა და ინგლისელებმაც ჰოჯსონი მოძებნეს. როი 26 წელი მუშაობდა „ბლექბერნში", ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მისი დაბრუნება მშობლიურ კლუბში უპრიანია.

**ინგლისის** პრემიერლიგის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოსამართლე პიტერ ლივერი აირჩიეს. 52 წლის ლივერი შეცვლის რიკ პერის, რომელიც ამ თანამდებობაზე 1992 წლის შემდეგ მუშაობდა. ივნისიდან პერი „ლივერპულს" შეუერთდება. ლივერის წლიური გასამრჯელო კი 320 ათასი დოლარი იქნება.

**საბერძნეთის** თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპის განმეორებითი შეხვედრები ოთხშაბათს გაიმართა. ათენის „პანათინაიკოსმა" სტუმრად 4:0 გაანადგურა „პანახაიკი", ორი მატჩის ჯამში კი 7:0 მოუგო. მეორე ნახევარფინალში თემურ ქეცბაიას აეკ-მა ასევე სტუმრად 1:0 სძლია „ოლიმპიაკოსი", საერთო ანგარიში კი 3:1-ია.

**შოტლანდიაში** გაიმართა ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხე წრის შეხვედრები. გლაზგოს „სელტიკმა" შინ 2:0 მოუგო „ჰიბერნიანს" და მეოთხედფინალში თანაქალაქელ „რეინჯერსს" შეხვდება. მეორე წყვილის, „ჰამილტონ" — „მოზერველის" საპასუხო შეხვედრაში კი „მოზერველმა" იმარჯვა 2:0.

**ინგლისის** „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელს, 31 წლის პიტერ ბიგრის ორი მანდილოსნის შეურაცხყოფაში ედება ბრალი. ღამის კლუბების მოყვარულ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს ერთხელ 21 წლის ქალიშვილთან შეემთხვა უსიამოვნება, მეორედ კი ფეხბურთელი 27 წლის ქალს აუხირდა. „მანჩესტერ სიტის" პრეს-ატაშეს განცხადებით, კლუბი შეძრწუნებულია მომხდარით, გმობს ბიგრის საქციელს და საკადრისადაც დასჯის მას. ბიგრი 1994 წლის მარტში მილიონ 100 ათას გირვანქად შეისყიდა „სიტიმ" „ევერტონისგან".

**რუსეთის** საფეხბურთო ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ლეონიდ ლიპოვოიმ განაცხადა, რომ ახალი სეზონიდან მთელ რუსეთში გავრცელდება ევროპაში მიღებული ბოსმანის წესი. მისივე თქმით, უმაღლესი ლიგის გუნდებს ხუთი უცხოელის ყოლის უფლება ექნებათ, ქვედა ლიგებში კი ლეგიონერთა რაოდენობა სამი ფეხბურთელით განისაზღვრება.

**სინგაპურში** მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში გაიმართა ერთი შეხვედრა „ბ" ჯგუფის გუნდებს შორის. ოთხშაბათს ბოსნიის ნაკრებმა 2:0 დაამარცხა ინდონეზიის გუნდი. გოლები პინტულმა და ჰრნიიჩმა გაიტანეს.

**სამხრეთ ამერიკაში** ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდებმა ორი შეხვედრა გამართეს. მეხუთე ჯგუფში ურუგვაის „პენიაროლმა" შინ 4:1 მოუგო თანაქალაქელ „ნასიონალს". გამარჯვებულთაგან გამოირჩნენ რომერო 41-ე წუთზე, ბენგოეჩეა 59-ე და 81-ე წუთებზე და ზელეიტა — 87-ეზე. ერთადერთი საპასუხო გოლი რავარამ გაიტანა 28-ე წუთზე. მესამე ჯგუფში ჩილეს „კოლო-კოლომ" 1:0 სძლია ვენესუელის „მინეროსის". 22-ე წუთზე ტაპიამ თერთმეტმეტრიანი შეაგდო.

**იტალიის** ჩემპიონატის ლიდერი ტურინის „იუვენტუსი" დღევანდელ მატჩში თითქმის სათადარიგო შემადგენლობით ეთამაშება „ვიჩენცას", რადგან ძირითადის ფეხბურთელთა უმრავლესობას სხვადასხვა მიზეზის გამო მოისაკლისებს. კლუბს ერთი თვით გამოაკლდა 22 წლის ალესანდრო დელ პიერო, რომელმაც ვარჯიშზე ფეხის კუნთი დაიზიანა. უკვე გადაწყდა, რომ ალესანდრო ვერ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის მატჩებს ნორვეგიის „რუსენბორგთან". ვერც ჩემპიონატში გამოვა „ვიჩენცას", „ნაპოლის" და „რომას" წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის ნაკრებს კი მოლდოვას და პოლონეთის წინააღმდეგ ვერ დაეხმარება. ასევე ვერ ითამაშებს 30 წლის მიკელე პადოვანო. შესაძლოა, ლიპიმ იგი ვიერათი შეცვალოს. 12 იანვარს დაშავებული ხორვატი ალენ ბოქშიჩის თამაშიც სათუოა, თუმცა „რუსენბორგის" წინააღმდეგ იგი მზად იქნება. „იუვენტუსს" დისკვალიფიცირებული ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანიც გამოაკლდება. ამათ შეიძლება დიდიე დეშამპიც დაემატოს, რომელსაც ტრავმა აწუხებს. ნაკრებისა და კლუბის ძირითად მეკარეს ანჯელო პერუცის კი 34 წლის მიქელანჯელო რამპულა შეცვლის. საეჭვოა კარგა ხნის უთამაშებელი ანტონიო კონტეს მოედანზე გასვლა. მიუხედავად ამდენი ფეხბურთელის ნაკლებობისა, მარჩელო ლიპი მაინც იმედიანადაა განწყობილი.

**ესპანეთის** თასის გათამაშების მეოთხედფინალში დედაქალაქის „ატლეტიკომ" ფრედ 2:2 ითამაშა „ბარსელონასთან". ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს: მე-19 წუთზე სტუმართა დაცვის შეცდომით ისარგებლა არგენტინელმა სიმეონემ. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე „ბარსელონამ" გაათანაბრა: პროდანმა ფიგუ წააქცია, გაესპანელებულმა არგენტინელმა ხუან ანტონიო პიციმ კი უნაკლოდ შეასრულა თერთმეტმეტრიანი. მეორე ტაიმის შუაგულში მანვე გამოიყენა ფიგუს პასი და დააწინაურა „ბარსელონა". საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე კი კიკომ გააყაიმა. მეორე მეოთხედფინალურ მატჩში „ბეტისმა" შინ 2:0 დაამარცხა „რაიო ვალეკანო". მე-13 წუთზე ხუან საბასმა გახსნა ანგარიში. მერე ტრუილომ თერთმეტმეტრიანი ვერ შეაგდო, მაგრამ მე-80 წუთზე ალფონსო პერესმა მაინც ახეირა თავისი კლუბი. დანარჩენ ორ მეოთხედფინალში „ლას პალმასი" ბარსელონას „ესპანიოლს" შეხვდება, „სელტა" კი სანტანდერის „რასინგს" უმასპინძლებს.

**იტალიის** თასის მეორე ფინალისტის ვინაობა თერთმეტმეტრიანების სერიამ გაარკვია. „ნაპოლი" იტალიის თასის ფინალში ბოლოს 1987 წელს გავიდა. მაშინ სამხრეთ იტალიის გუნდში დიეგო მარადონა ბრწყინავდა. ოთხშაბათის შეხვედრის წინ ფავორიტად მილანის „ინტერი" ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდა. შეხვედრა სტუმართათვის კარგად დაიწყო. დასაწყისში მოპოვებულ ტერიტორიულ უპირატესობას გოლიც მოჰყვა: მე-11 წუთზე არგენტინელმა ხავიერ ძანეტიმ ტალიალატელას საჯარიმოს გარედან გაუტანა. პირველი ტაიმის 34-ე წუთიდან „ინტერს" 10 კაცის შემადგენლობით მოუწია თამაშმა, რადგან ფრანჩესკო კოლონეზესთან უხეშობისთვის არბიტრმა მაურიციო განცი გააძევა. მეორე ტაიმში მასპინძლები ბრაზილიელმა ბეტომ იხსნა მარცხისგან და მატჩის დასასრულამდე 18 წუთით ადრე გაუტანა პალიუკას. ძირითადი დრო ასევე დასრულდა. რაკი მეტოქეებმა პირველ შეხვედრაშიც ფრედ 1:1 ითამაშეს, დაინიშნა დამატებითი დრო, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა. თერთმეტმეტრიანების სერიაში კი მასპინძლებმა იმარჯვეს. მათ ხუთივე პენალტი გამოიყენეს. მილანეზეს, კაჩას, კაიოს, ტურინის და ბოლოსიანის დარტყმები ზუსტი იყო. სტუმართაგან სამორანომ, ჯორკაეფმა და პისტონემ გაიტანეს, მასიმო პაგანინის გადამწყვეტი დარტყმა კი ტალიალატელამ მოიგერია. ფინალში „ნაპოლი" „ვიჩენცას" შეხვდება. პირველი მატჩი 4 ივნისს გაიმართება, საპასუხო — 11-ში.

**აფრიკაში** გაიმართება კონტინენტის სამხრეთ ქვეყნების კომერციული ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარია. ტურნირში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. გუნდები თავიდან ოლიმპიური სისტემით იასპარეზებენ — გამოვლინდება ოთხი საუკეთესო, შემდეგ კი ჯგუფური ტურნირი მოეწყობა. გამარჯვებულს 100 ათასი დოლარი ერგება, ფინალისტს — 60 ათასი, მესამე ადგილზე გასულს კი 30 ათასი. დანარჩენ თანხას სხვა მონაწილეები გაიყოფენ. ტურნირში ითამაშებენ ბოტსვანა, მალავი, ლესოტო, ზამბია, ტანზანია, სვაზილენდი, მოზამბიკი და სამხრეთ აფრიკა.

## ინგლისი

### ასოციაციის თასის გათამაშების მეხუთე წრის საპასუხო მატჩები

**ჩელსი 1:0 ლესტერი**

**ჩელსი:** გროდასი, პეტრესკუ (იონსენი 100), ლებეფი, კლარკი, მ. ჰიუზი, უაიზი, დი მატეო, მინტო (ვიალი 45), ხინკლერი, ნიუტონი, ძოლა
**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, პრაიორი, ელიოტი, უოლში, იზეტი, ლენონი, პარკერი, მარშალი, კლერიჯი (ტეილორი 71), ჰესკი
**გოლი:** ლებეფი (117)
**გაფრთხილება:** ლებეფი, მ. ჰიუზი, ნიუტონი, უაიზი, ჰესკი, იზეტი, მარშალი, ლენონი, ტეილორი, უოლში

პირველი შეხვედრა 2:2 დასრულდა. ამ მატჩსაც ასეთი პირი უჩანდა, მაგრამ ორსაათიანი თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე იონსენმა სპენსერ პრაიორი საჯარიმოში წააქცია, მსაჯმა რიდმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა და ლებეფმაც შეაგდო. მხოლოდ ასე, პენალტით შეძლეს ჩელსელებმა „ლესტერის" ამერიკელი მეკარის კეისი კელერის გაწბილება. მანამდე მან, რომ იტყვიან, თავი გაიგიჟა და ბრწყინვალედ ითამაშა, გუნდს პენალტების სერიამდეც მიათრევდა, რომ არა იონსენი. „ჩელსი" გამუდმებით უტევდა, მაგრამ კელერმა ალბათ კარიერაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მან თამაშის დაწყებისთანავე ნიუტონისა და ძოლას დარტყმები მოიგერია, მე-16 წუთზე რობერტო დი მატეოს 25 მეტრიდან დარტყმულს დაუხვდა, 25-ე წუთზე კი გოლის ავტორ ლებეფს აუღო. საუცხოოდ კი მე-40 წუთზე ითამაშა, როცა დი მატეოს დარტყმული სასწაულებრივი ნახტომით გადააგდო კარს ზემოთ. ტაიმის მიწურულს კელერმა უაიზიც დაალონა, ორ წუთში კი მას ელიოტიც მიაყოლა. მეორე ნახევარში გულიტმა კარგა ხნის უთამაშებელი ვიალი შეუშვა და ამანაც „ჩელსის" ისედაც გააფრთებული თავდასხმა კიდევ უფრო გააძლიერა. მეორე ტაიმში „ლესტერმა", ერთი ხეირიანი შეტევა რაა, ისიც ვერ განახორციელა. ერთადერთხელ, 48-ე წუთზე მარშალმა შეუტია, თუმცა თაური ააცილა. 62-ე წუთზე მასპინძლებმა დაწინაურების კიდევ ერთი შანსი დაჰკარგეს: კლარკმა უაიზს გადააწოდა, ამან ძოლას, რომელიც ორ მცველს გასცდა, მაგრამ დარტყმა კვლავ კელერმა აუღო. მალე ნიუტონის თაური მცირედით ასცდა სტუმართა კარს. 73-ე წუთზე ვიალიმ ორი მეტოქე მოატყუა, ცოტაც გაირბინა და უძლიერესად დაარტყა, მაგრამ კელერს ვერა მოუხერხა. დამატებით დროში „ლესტერის" მეკარემ ვიალის, დი მატეოს, ნიუტონს, ძოლას და კლარკს აუღო, ბოლოს კი ის იყო, რომ იონსენმა ნაჯაფი წყალში ჩაუყარა.

**დერბი ქაუნთი 3:2 ქოვენთრი**

**დერბი:** ჰოლტი, კერსლი, როუეტი, ლაურსენი, დეილი, ტრილოპი, ვან დერ ლაანი, ასანოვიჩი, პაუელი, უორდი, სტარიჯი
**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ჰოლი, უილიამსი, ტელფერი, რიჩარდსონი, ჯესი (ნდლოვუ 80), ველანი, დაბლინი, მაკალისტერი, ჰაკერბი
**გოლი:** ჰაკერბი (5), ველანი (13), უორდი (17), ვან დერ ლაანი (41), სტარიჯი (88)

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული პოლ მაკგრათი და ტრავმირებული იგორ შტიმაცი კი აკლდათ, მაგრამ მომდევნო წრეში მაინც გავიდნენ. სტუმრებმა ორივე გოლი კუთხურით შეაგდეს. რიჩარდსონის დარტყმა ჰოლმა კუთხურზე მოიგერია, ჩაწოდებულს ჰაკერბი შეეგება და დაახლოებით 15 მეტრიდან თითქმის ცარიელ კარში გაიტანა, რადგან ჰოლტი გამოსვლაზე შეცდა. რვა წუთში ჰოლტს კვლავ შეეშალა და მეორეც გაუშვა. უმეთვალყურეოდ დარჩენილმა [illegible] ველანს მიაწოდა და ამანაც გაიტანა. მე-17 წუთზე ასანოვიჩმა კუთხური ჩააწოდა, [illegible] კი საჯარიმოში შექმნილი [illegible] ბურთი გაქვითა. მასპინძლებმა ანგარიში პირველივე ტაიმში გააყაიმეს: გარი როუეტის მარცხნიდან ჩაწოდებულ კუთხურს ვან დერ ლაანის საგოლე დარტყმა მოჰყვა. მეორე ნახევარში ოგრიზოვიჩმა ორჯერ იხსნა კარი ასანოვიჩისა და პაუელის დარტყმების შემდეგ, საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მაკალისტერმა ბურთი კუთხურზე გადააგდო — ასანოვიჩმა ჩააწოდა, ტრილოპმა საჰაერო ბრძოლაში იმარჯვა, სტარიჯს გადააწოდა და მანაც თასის გათამაშების მეხუთე წრეში გამსვლელი გაიტანა. მოკლედ, „დერბი" — „ქოვენთრის" შეხვედრაში ხუთივე გოლი კუთხურიდან გავიდა.

გაიმართა თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა:

**8 მარტი**
**„დერბი ქაუნთი" — „მიდლსბრო"**
**9 მარტი**
**„ჩესტერფილდი" — „რექსჰემი"**
**„პორტსმუთი" — „ჩელსი"**
**„შეფილდ უენსდეი" — „უიმბლდონი"**

### ლიგის თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი

**სტოკპორტი 0:2 მიდლსბრო**

**სტოკპორტი:** ჯოუნზი, კონელი, ტოდი, ბენეტი, ფლინი, გენონი, დარკენი, მერსდენი, არმსტრონგი, ენჯელი, კავაჩო (ჯეფერსი 76)
**მიდლსბრო:** შვარცერი, კოქსი, პირსონი, ემერსონი, მასტრო, ბექი, რავანელი, ფლემინგი, ფესტა, სტამპი, ჰინეტი
**გოლი:** ბექი (73), რავანელი (79)
**გაფრთხილება:** ტოდი, დარკენი, ფლემინგი, რავანელი, სტამპი, ემერსონი

ამ კლუბებს ჯერ არასდროს უთამაშიათ „უემბლიზე", მატჩის შემდეგ კი პრემიერლიგის აუტსაიდერმა „მიდლსბრომ" ამ სახელოვან სტადიონზე თამაში სანახევროდ დაიბევა. პირველ ნახევარში „მიდლსბრო" უტევდა, თუმცა გოლი ვერა და ვერ გაიტანა. რავანელი სამ მასპინძელს გასცდა, დაარტყა, მაგრამ მეკარემ აუღო. მალე იტალიელმა მცირედითაც ააცილა. პირველი სახიფათო მომენტი პრემიერლიგელთა ახალი მეკარის, ავსტრალიელი შვარცერის კართან 27-ე წუთზე შეიქმნა. ბენეტი პირსონს გასცდა, მას კოქსიც მიაყოლა და მოჭრილად დაარტყა — შვარცერმა კარი იხსნა. მასპინძელთა ერთ შეტევას მეორეც მოჰყვა. დარკენმა ენჯელს გადააწოდა, ამან არმსტრონგს, ამ უკანასკნელმა კი მასტოს ცრუმოძრაობით ჩამოშორების შემდეგ მოულოდნელად დაარტყა, მაგრამ შვარცერმა კვლავ იყოჩაღა. მეორე ნახევარში „მიდლსბრო" უფრო ძლიერ ათამაშდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია. მანამდე, ჯერ სტამპმა ააცილა, მერე ბექმა, 63-ე წუთზე კი რავანელიმ პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი ჯოუნზს. ათ წუთში რობსონის გუნდის შეტევებმა შედეგი გამოიღო: კოქსის გადაცემის შემდეგ ბექმა გაიტანა. გაშვებულმა გოლმა მასპინძლები დააბნია, რაც მათ მეორე გოლად დაუჯდათ. „მიდლსბრომ" მასპინძლები კონტრშეტევაზე დაიჭირა და რავანელის გოლით დასაჯა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**უეფას თასი. მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები
4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტენერიფე — ბრონდბიუ | (1,4-2,6) | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| შალკე — ვალენსია | (1,9-1,7) | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| ნიუკასლი — მონაკო | (1,6-2,0) | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| ანდერლეხტი — ინტერი | (5,0-1,15) | 3,6 | 3,0 | 1,8 |

**ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები
5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აიაქსი — ატლეტიკო | (1,8-1,8) | 1,9 | 2,7 | 3,6 |
| რუსენბორგი — იუვენტუსი | (15,0-—) | 6,5 | 3,4 | 1,4 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — პორტუ | (1,7-1,9) | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| დორტმუნდი — ოსერი | (1,4-2,6) | 1,5 | 3,1 | 6,0 |

**თასების თასი. მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები
6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარსელონა — აიკი | (—-15,0) | 1,1 | 5,3 | 14,0 |
| 0:1 | | 1,3 | 3,4 | 5,0 |
| პარი სენ ჟერმენი — აეკი | (1,45-2,4) | 1,5 | 3,1 | 6,0 |
| ბენფიკა — ფიორენტინა | (3,0-1,3) | 2,5 | 2,6 | 2,6 |
| ბრანი — ლივერპული | (15,0-—) | 6,5 | 3,4 | 1,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

# სხვებს ეშინოდეთ კურტანიძის!



ხშირად ხდება ხოლმე: მავანს დააფასებენ, გამოარჩევენ, პატივსა და დიდებას არგუნებენ და მასაც, რომ იტყვიან, თავში აუვარდება ხოლმე, რადგან სხვებისაგან გამომარჩიეს, მეკუთვნოდა კიდეც და სხვები ჩემთან რას მოვლენო. ზოგი სხვაგვარადაც ფიქრობს: კი დამაფასეს, სხვას მარჩიეს, მაგრამ არც სხვები არიან ჩემზე ნაკლებნი, ჰოდა, ესე იგი, წამახალისესო და შემდგომში თავისი საქმიანობით ცდილობს დაამტკიცოს, რომ სხვათაგან გამორჩევას სათანადოდ აფასებს.

ელდარ კურტანიძე შარშან საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ეკუთვნოდა და იმიტომ: ევროპის ჩემპიონობასა და ოლიმპიურ ბრინჯაოს ექვსი საერთაშორისო ტურნირის ოქროც მიამატა, შარშან ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი შეიქნა, სტაბილური სპორტსმენის სახელიც გაიგდო და ამ აღიარებას როდი გაუყოყოჩებია, პირიქით, ჩვეული გულმოდგინებით განაგრძო ვარჯიში და წელს უკვე ორ საერთაშორისო ტურნირზე იმარჯვა — თებერვლის დასაწყისში კრასნოიარსკის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, ახლახან კი კიევიდან დაბრუნდა გამარჯვებული — კრასნოიარსკისაზე არანაკლებ პრესტიჟულ შეჯიბრებაში ისახელა თავი.

**— ელდარ, წელსაც ძველებურად, სტაბილურად აგრძელებ გამოსვლას: ორი სერიოზული წარმატებით დაიწყე სეზონი...**

— მე ორივე ტურნირის მოსაგებად წაველი და მიხარია, რომ ასეც მოხდა. სხვათა შორის, კიევში ასპარეზობას არ ვაპირებდი, ეს ტურნირი საევროპოჩემპიონატო სამზადისისთვის ზედმეტად მიმაჩნდა, მაგრამ ბოლოს მაინც წასვლა გადავწყვიტეთ მე და ჩემმა მწვრთნელმა გია გალდავამ. ამ ტურნირებმა ბევრი რამ მასწავლა, ჩემი ჭიდაობის ხარვეზები უკეთ შევიცანი, რაც სამომავლოდ დიდ სამსახურს გამიწევს.

**— რომელი ტურნირი იყო უფრო მაღალი დონის?**

— კირკიტა კაცი უთუოდ იპოვის სხვაობას ამ ორ ტურნირს შორის, მაგრამ მგონია, რომ დონე თანაბარი ჰქონდათ.

**— სად უფრო გაგიჭირდა გამარჯვება, კიევში თუ კრასნოიარსკში?**

— ორივეგან ერთნაირი ძალისხმევა და ოსტატობა დამჭირდა გასამარჯვებლად. შეღავათები არც კიევში და არც კრასნოიარსკში არ მქონია.

**— ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ახალმა წესებმა, წონითი კატეგორიების ახლებურად გამიჯვნამ, თითქმის ყველა მოჭიდავეს პრობლემები შეუქმნა. შენც 90 კილოგრამიდან 97-ში აინაცვლე. ზოგმაც დაიკლო წონა, ასე რომ, მოჭიდავეებს ტრადიციული მეტოქეები შეეცვალათ. ალბათ, შენც მოისაკლისე ვინმე შენს წონაში. ზოგიც, პირიქით, გეუცხოვა.**

— ახლა ჩემს წონაში მოასპარეზე თითქმის ყველა ძლიერი სპორტსმენი 100 კილოგრამიდან „ჩამოვიდა". მაგალითად, ევროპის ორგზის ჩემპიონი, კიევში ჩემგან ფინალში ძლეული პოლონელი მარეკ გარმალევიჩი, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი, ამერიკელი ენჯი კულტი და რუსი სერგეი კოვალენსკი. ჩემი ძველი კონკურენტების უმრავლესობა კი დაბალ წონას მიეტანა — 85 კილოგრამში გადავიდნენ, ასე რომ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეცვლილა — ისევ ტიტულოვან და გამოცდილ ოსტატებთან მექნება საქმე. ჩემი ძირითადი კონკურენტებიდან მარტო ამერიკელი დუგლასი მომყვა მაღალ წონაში.

**— ირანელი ჰადემიც ხომ შენი უმთავრესი კონკურენტი იყო. მახსოვს, ნატრობდი მასთან შეხვედრას. მანაც დაბალ წონაში ჩაინაცვლა?**

— სამწუხაროდ, ამ დიდებულმა ფალავანმა მიატოვა ჭიდაობა და ჩემი ოცნება ოცნებად დარჩა.

**— რატომ ირჩიე 97 კილოგრამი და სხვების მსგავსად რატომ 85-ში არ გადახვედი?**

— ჭიდაობა 29 კილოგრამ წონაში დავიწყე. მას მერე, რაცა ვარ, ეგ არის — წონა არ დამიკლია და დაბალ წონაში არ გადავსულვარ. ეს ჩემი პრინციპია. მოჭიდავემ კიდეც უნდა ჭამოს, დალიოს და ხეირიანადაც იჭიდაოს.

**— კრასნოიარსკში ჩემპიონებს საკმაოდ სოლიდური პრემიები მოგცეს. კიევშიც ასე იყო?**

— კიევის ტურნირი არაკომერციული იყო და გამარჯვებულები ფასიან საჩუქრებს დაგვაჯერეს. მარტო ზაზა ზოზიროვს გადასცეს ავტომანქანა „გაზ-31", ისიც რუსეთში მოსაქმე ოსებმა.

**— კიევშიც და კრასნოიარსკშიც შენთან ერთად დათო პოლოსიანმაც გვასახელა. რას გვეტყოდი შენს კოლეგაზე?**

— ნიჭიერი მოჭიდავეა. თითქმის ორი წელი გაუცდა, მაგრამ დაიწყო თუ არა ჭიდაობა, ზედიზედ ორი ტურნირი მოიგო. რუსეთშიც და უკრაინაშიც თავის წონაში ბადალი არ ჰყავდა, ორივეგან ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და დამსახურებულად გაიმარჯვა.

**— გავიგე, უცხოური კლუბები გეპატიჟებიან. თუ საიდუმლო არ არის, რომელი ქვეყნის კლუბები გიწვევენ?**

— გერმანიისა და მაკედონიის სპორტული კლუბები მეპატიჟებიან. გერმანელებთან, ჯერჯერობით, მეტად ბუნდოვანი ურთიერთობა მაქვს, ამიტომ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვი, მაკედონიაში კი ქალაქ რადოვიშის სპორტკლუბი მიწვევს.

**— კლუბში ასპარეზობა ხელს არ შეგიშლის ნაკრებში გამოსვლისას?**

— პირიქით, იქნებ ხელიც შემიწყოს, რათა ნაკრებში უფრო შედეგიანად ვიასპარეზო. ევროპის მრავალ ქვეყანაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ საჭიდაო სეზონის დასრულებისთანავე იწყება ქვეყნის შიდა საკლუბო ჩემპიონატები — სექტემბრიდან იანვრამდე. კლუბებში ასპარეზობით სპორტსმენები, რომ იტყვიან, ნაყოფიერად ისვენებენ — „ფანჯარას" ფორმის შესანარჩუნებლად იყენებენ. იანვრიდან ყველა ჩვეულ გრაფიკს უბრუნდება და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ემზადება. თუ წაველი ევროპულ კლუბში საჭიდაოდ, ეს ფორმის შენარჩუნებაში დამეხმარება და ნაკრებსაც მომზადებული დავუბრუნდები.

**— მარტო საქართველოსთანა გაჭირვებული ქვეყნების მოჭიდავეებს ეპატიჟებიან ევროპული კლუბები თუ დალხინებულთაც ეტანებიან?**

— არა, ყველა ქვეყნიდან იწვევენ საუკეთესო მოჭიდავეებს. ამ საქმეში, სხვათაშორის, დიდი კონკურენციაა. საშუალო დონის სპორტსმენი არავის სჭირდება. რაკი გიწვევენ, გარანტიაც უნდა ჰქონდეთ — საკლუბო ტურნირებში ჩემპიონობის თუ არა, პრიზიორობის რეალური კანდიდატი მაინც უნდა იყო.

**— სხვა ქვეყანაში სამუდამოდ წასვლასაც ხომ არ აპირებ?**

— რა მაქვს დასამალი: ვიდრე საქართველოში ჭიდაობის ფასი და ყადრი იციან, ვიდრე ქომაგი და დამფასებელი მყავს, არსად წავალ. ვგრძნობ ქომაგთა დიდ სითბოსა და სიყვარულს, რაც ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე უცხოელ სელექციონერთა მიერ შემოთავაზებულ წინადადებათა მომხიბვლელობა. ისე, ვისაც ეხება, მათ გასაგონად ვიტყვი — ქართულ სპორტს მეტი ყურადღება სჭირდება.

**— უცხოელები არ გთავაზობენ მათი ქვეყნის სახელით ასპარეზობას?**

— არის 3-4 ქვეყანა, რომელთა მოქალაქედ გახდომას მთავაზობენ, მაგრამ რომლები, ვერ გაგიმხელ, არ არის საჭირო.

**— ფილას ახალმა წესებმა, წეღანაც ვთქვით, ბევრი რამ არია. ახალი წონა და ახალი მეტოქეები ტურნირებზე იოლად დასძლიე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხომ არ შეგიქმნის პრობლემებს ფილას სიახლე?**

— ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე კონკურენცია, ალბათ, შარშანდელზე მეტი იქნება, მაგრამ რა ჩემი საქმეა, ვიღაცამ თუ წონა დაიკლო ან მოიმატა, მე რატომ უნდა მეშინოდეს ახალი მეტოქეების? იმათ ეშინოდეთ ელდარ კურტანიძისა — არც ლონით ჩამოვრჩები ვინმეს, არც ოსტატობით, ტიტულებისა კი არასდროს მშინებია — წელს, სადაც კი ვიასპარეზებ, ყველგან ჩემპიონობას ვაპირებ, მაგრამ რაც უნდა მოვიგო, ოლიმპიური ჩემპიონობა რჩება ჩემთვის ჯერჯერობით მიუწვდომელ ოცნებად.

**ლევან ჯავახიშვილი**



# წავიდა, რათა დარჩეს



გიორგი კანდელაკს შარშან, წლის მიწურულს, გორში რომ ვესტუმრე და კრივში მის დარჩენა-არდარჩენაზე ვესაუბრე, თბილისში დაიმედებული გამომისტუმრა — ყველაფერი ხდება, არ არის გამორიცხული, კვლავ ჩავიცვა ხელთათმანები და რინგს დავუბრუნდეო. კი ვუგუმანე, კანდელაკი კრივიდან წამსვლელს უფრო ჰგავს, ვიდრე დამრჩენს-მეთქი, მაგრამ ისიც ვიფიქრე, კაცმა თავისი საქმე იცის და იქნებ არც წავიდეს-მეთქი. გორში ხელახლა ჩასულს გიორგიმ მტკიცე გადაწყვეტილება დამახვედრა — მორჩა, საბოლოო არჩევანი უკვე გავაკეთე, მას ვერავინ შემაცვლევინებს, რინგზე აღარ გამოვალ და არ ვიჩხუბებო. იმედის ბოლო ნაპერწკალი, ეგებ კანდელაკი მაინც დაბრუნდესო, ჩაინავლა და ახლა, კაცმა არ იცის, რამდენ ხანს უნდა ველოდოთ საქართველოში მისი ბადალი მოკრივის გამოჩენას. არადა, ქვეყნის სპორტის მესვეურთ ცოტა მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ კრივის მიმართ, ვარჯიშის ნორმალური პირობები შეექმნათ კანდელაკისთვის და წელიწადში 3-4 საერთაშორისო ტურნირზე გაეშვათ, მერწმუნეთ, თავად მათაც და კრივის ქომაგთაც ათმაგად დაუბრუნდებათ გაღებული. მხოლოდ ერთი-ორჯერ, ისიც ცალყბად მოისაკლისეს კანდელაკი, დაამუნათეს და ცივ დარბაზში ვარჯიშიც შესთავაზეს, მაგრამ, როგორც გიორგი ამბობს, რასაც სთავაზობენ, იმ პირობებში ვარჯიში უაზრობაა, კანტი-კუნტი შეკრებებითა და წელიწადში ორიოდ ტურნირზე გამოსვლით კი ოსტატობას ვერ აიმაღლებ და ფელიქს სავონის დარ მოკრივეს კი არა, სავონზე ათჯერ სუსტსაც ვერ დაამარცხებ. იგივე სავონი, მაგალითად, 9 თვე ინტენსიურად ვარჯიშობს ყოველწლიურად, ინდივიდუალური ვარჯიშის გარდა, 5-6 შეკრებას გადის კლუბის ნაკრებთან ერთად, სულ ცოტა 6 საერთაშორისო ტურნირშიც ასპარეზობს და ისე მიემგზავრება წლის უმთავრესი შეჯიბრების — მსოფლიოს ჩემპიონატისა და თასის მოსაგებად. ჩვენში კი მოსამზადებელი ციკლის მიწურულს, კარს მომდგარი ჩემპიონატების წინ ახსენდებათ, რომ მოკრივეები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე არიან სასპარეზონი, სახელდახელოდ ორიოდ შეკრებას მოუწყობენ, ამდენივე ტურნირს გამოუძებნიან და შემდეგ კატეგორიულად სიხოვენ — აბა, ბიჭებო, თან გადაგვყევით, უმედლოდ არ დაბრუნდეთო. კრივში მოწინავე ქვეყნების სპორტსმენთა მომზადების დონით და მათზე დახარჯული თანხებით არავინ ინტერესდება. კი, ბატონო, გვიჭირს, დიდი შეძლეულის ქვეყნებს როდი ვადრი საქართველოს, მაგრამ ჩვენზე არანაკლებ შეჭირვებული სომხეთი, აზერბაიჯანი და ზოგი ნაკლებ დალხინებული შუა აზიის ქვეყანა როგორ ახერხებს მოკრივეთა შენახვას?

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღეს საქართველოში სპორტსმენი დაუცველია — მეუბნება გიორგი — კრივი მეტად რისკიანი სპორტია და არცერთი რაუნდის წინ არა ხარ დაზღვეული, რომ რინგზე არ დარჩები ან სამუდამოდ არ დახეიბრდები. უცხოეთში ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია და სპორტსმენსაც კომპენსაცია გარანტირებული აქვს — თუ რამე შეემთხვევა, მოკრივეს სოლიდური პენსიით უზრუნველყოფენ. ეგეც არ იყოს, როცა ტიტულოვანი სპორტსმენი კარიერას ასრულებს, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ტიტულების შესაბამისად სიკვდილამდე უზრუნველყოფენ პენსიით — ან მთავრობა ანაც სხვადასხვა არასამთავრობო ფონდები. მოკლედ, თუ მიატოვე სარბიელი, ახალგაზრდობაში მოხვეჭილი სახელი სიბერემდე გამოგადგება".

კანდელაკის კრივიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ... გიორგი კრივიდან არ წასულა — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარეს. ახალბედა მწვრთნელის დებიუტი იღბლიანი გამოდგა და ირანის საერთაშორისო ტურნირზე მისმა ახალგაზრდა შეგირდებმა უფროს მოკრივეებთან პაექრობაში 17 გუნდში მე-3 ადგილი დაიკავეს. მწვრთნელობაში წარმატებული დებიუტი კიდევ ერთი არგუმენტია გიორგისთვის — მე კი წაველ, მაგრამ არანაკლებ საქმეს გავაკეთებ, სხვა კანდელაკებს აღვზრდი და რაც მე ვერ მოვიგე, ჩემი შეგირდები მოიგებენო — დაიმედებული ამბობს.

არის ერთი რეალური ვარიანტი, რომ გიორგი კანდელაკი დარჩეს კრივში, იდეალური საწვრთნელი პირობებიც ჰქონდეს, არც ტურნირები მოაკლდეს და არც ბლომად ფული, თანაც ფელიქს სავონთან გამარჯვებაც რეალობად იქცეს, მაგრამ ამ ვარიანტის გაგონებაც არ სურს გიორგის:

„უცხო ქვეყნის მოქალაქეობას არ მივიღებ. უცხოეთში შეჯიბრებისას რობინზონ კრუზოს ვემსგავსები — სასტუმროს კედლებზე ხაზებით აღვნიშნავ, რამდენი დღე მრჩება შინ დაბრუნებამდე — მიამბობს გიორგი — აკი ვიყავი იაპონიაში, კეტჩს ვჩხუბობდი, თითო გამოსვლაში 2 500 დოლარს მიხდიდნენ და ხელის გულზეც მატარებდნენ, მაგრამ არ დავრჩი, გული მუდამ აქეთკენ მიწევდა".

ვიდრე ამ წერილს დავამთავრებ, მინდა კიდევ ერთხელ გავახსენოთ, თუ რა დონის მოკრივეს ვკარგავთ — ჭაბუკობაში, რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოიგო კანდელაკმა. მერე, 19 წლისა, ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების პრიზიორიც. საერთაშორისო ტურნირებზე მოგებულ მედლებს ნულარ იტყვით, იმდენი აქვს გიორგის სახლში. და ეს ყველაფერი 21 წლისამ მოასწრო. არადა, დღეს მსოფლიოში აღიარებულ მოკრივეთა დიდ ნაწილსაც კი ამ ასაკში ეს ტიტულები საოცნებო ჰქონდა. დიახ, გიორგი კანდელაკმა იმით დაიწყო თავისი სპორტული კარიერა, რითაც ბევრი ამთავრებს — ევროპის ჩემპიონობით, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობით და მსოფლიოს თასის პრიზიორობით.

მოკლედ, გიორგი კანდელაკმა ქართული სიჯიუტე გამოიჩინა, თქვა და აღარ გადათქვა. რაკი მასთან ვერაფერი გავაწყვეთ, რაღა დაგვრჩენია, დაემშვიდობოთ სახელოვან მოკრივეს და ესღა ვუთხრათ:

ვინძლო, გიორგი, შენი მოსაგები მალე შენს შეგირდებს მოაგებინო!

**ლევან ჯავახიშვილი**



# ბიწაძე ტაისონის ცემას აპირებს!

ამას წინათ რუსთავს ვსტუმრობდი. მოულოდნელად, ნაცნობი შევნიშნე — აფხაზეთიდან დევნილი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებების ყოფილი წევრი, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, საქართველოს რეკორდსმენი ბირთვის კვრაში ტარიელ ბიწაძე. ყურმოკვრით ვიცოდი, მძლეოსნობას თავი დაანება, მერე კარატეში დაიწყო ვარჯიში და ახლა სპორტის რომელიღაც სახეობას მისდევსო. ბუნებრივია, ამ „რომელიღაც სახეობამ" მეც დამაინტერესა და საუბრის ბოლოს ტარიელმა ისეთი რამ მითხრა, კარგა ხანია, ასე არაფერი გამკვირვებია. ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავთ, თქვენც არანაკლებ გაოცებულები დარჩებით...

— აფხაზეთში რომ ომი დაიწყო და ყველაფერი აირია, მძლეოსნობისთვის საცლა მეცალა. ასე დასრულდა ჩემი მძლეოსნური კარიერა, მაგრამ ვგრძნობდი, ჯანი მერჩოდა და გადავწყვიტე კარატეში მეცადა ბედი, მითუმეტეს, რომ სპორტის ეს სახეობა ბავშვობიდან მიტაცებდა. ჩემი ძმა ამირანიც ამ აზრზე იდგა და გადავწყვიტეთ კარატეში დაგვეწყო ვარჯიში. მეგობრების დახმარებით უამრავი ვიდეოფირი მოვიპოვეთ, ცოტა ხნის მერე კი იაპონიაშიც ამოვყავით თავი — იქაურებმა შეკრებაზე მიგვიწვიეს. ნელ-ნელა გარკვეულ წარმატებებს მივაღწიე. ორი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ვარ კიოკუშინ კაი კარატეში. შარშან ვერცხლის მედალი მოვიპოვე, თუმცა ფინალში გამარჯვებაც შემეძლო, რომ არა ხელის ტრავმა, რომლის გამოც გადამწყვეტ ბრძოლაში მონაწილეობა არც კი მიმიღია.

**— II ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატზე შთამბეჭდავი შედეგია...**

— რა ვიცი, ვისთვის — როგორ. ისე, კარატე რთული ასათვისებელი არ არის, თეორიულად სულ რამდენიმე თვეში ისწავლი ყველაფერს, მაგრამ შემდგომი პროცესია ძნელი: ტექნიკა, სისწრაფე, ფიზიკური გამძლეობა ბევრ შრომას მოითხოვს.

**— პროფესიული რინგის მონაწილე როგორღა გახდი?**

— უბრალოდ, სურვილი მქონდა, თანაც ორგანიზატორებიც დამეხმარნენ. სარეიტინგო ბრძოლებში რომ მიხილეს, პირდაპირ მთავარ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება მომცეს.

**— რას წარმოადგენს სპორტის ეს სახეობა?**

— სახეობა კი არა, სახეობების ნაერთი, რადგან რამდენიმე სახეობაა გაერთიანებული, კარატეს, კრივის, სხვადასხვა ჭიდაობის წესებია ერთმანეთში შერწყმული და საბოლოოდ პროფესიული რინგი ეწოდება. თითქმის იგივეა, რაც ბრძოლა წესების გარეშე, მაგრამ აქ რაღაც შეზღუდვებია. მონაწილენი პროფესიონალი სპორტსმენები არიან, რომლებიც ზემოთ ნახსენებ სპორტის სახეობებს წარმოადგენენ. ჩხუბის დრო 30 წუთია შეუსვენებლად, იშვიათად რაუნდებიც არის. ზოგიერთი ამ დროს ბოლომდე ვერ უძლებს ბრძოლას ვადამდე, ნოკაუტით ამთავრებს.

**— შენ გიწვნევია ნოკაუტი?**

— ორჯერ. უმეტესად კი პირიქით, მე ვიმარჯვებ ხოლმე ნოკაუტით.

**— სიკვდილიანობის შემთხვევები თუ არის?**

— როგორ არა. მოწმე მე თავად ვარ. ერთი მებრძოლი ბრუნის დროს კისერზე დაეცა და იქვე გათავდა. მეორეს სისხლის ჩაქცევამ მოუსწრაფა სიცოცხლე. ასეთი შემთხვევა არაერთია. ერთხელ მეც დავშავდი მძიმედ — ნეკნი გამიტყდა და საკმაო ხნის მერეღა გამოვჯანმრთელდი. ყოფილა, მეც ძალიან შემომლახავს მეტოქე — ბულგარელი და ამერიკელი სპორტსმენები ისე დავასახიჩრე, ალბათ სამუდამოდ ინვალიდებად დარჩებიან.

**— დაზღვეულიც იქნები.**

— უამისოდ როგორ იქნება, ყველა სპორტსმენი დაზღვეულია.

**— ამ სახეობაში რაიმე წარმატებისთვის თუ მიგიღწევია?**

— პროფესიულ რინგში ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო ტურნირები და არცერს არ ვაცდენ. 1994 წელს ტოკიოში მეორე ადგილზე გავედი, წელს კი მესამე ვიყავი. სულ ათეულში ვარ.

**— იაპონიაში თუ გაფასებენ?**

— ტრაბახში არ ჩამომართვა: დიდი პატივისცემით მეპყრობიან. ხალხი ქუჩაში მცნობს და ერთმანეთს ეკითხებიან — ეს ბიწაძე არ არისო?

**— ჩვენში თუ გცნობენ?**

— ჩვენთან სხვა ვითარებაა. ბევრი მოქიშპე მყავს და ალმაცერადაც მიყურებენ. თუმცა, იმდენი ავტორიტეტი მაინც გამაჩნია, რომ ბავშვების სავარჯიშოდ ხელი არ შემიშალონ. თბილისში, ფალავანთა კლუბში პატარებს ვასწავლი კარატეს.

**დავით ჩხაიძე**

ძიუდო

## მიუნხენის საერთაშორისო ტურნირი

22-23 თებერვალი

ვაჟები

60 კგ: 1. რიუძი სონოდა (იაპონია), 2. რობერტ ვანუსი (ჩეხეთი), 3. ოსკარ პენიასი (ესპანეთი) და მანოლო პულოტი (კუბა)

65 კგ: 1. მიცუტოში ნანძიო (იაპონია), 2. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო), 3. გიორგი ვაზაგაშვილი (საქართველო) და ჰუსეინ ოზქანი (თურქეთი)

71 კგ: 1. ჯიმ პედრო (აშშ), 2. დანი კინგსტონი (ბრიტანეთი), 3. უდო კველმალცი (გერმანია) და ჟესი ევკლიდი (საფრანგეთი)

78 კგ: 1. მაკოტო ტაკიმოტო (იაპონია), 2. კაზუნორი კუბოტა (იაპონია), 3. ცენტაიუშ ოხირეატი (მონღოლეთი) და ფლავიო კანტო (ბრაზილია)

86 კგ: 1. მარკო შპიტკა (გერმანია), 2. სტეფან ნომი (საფრანგეთი), 3. ჰირუმი ფუჯიტა (იაპონია) და მაარტენ არენსი (ჰოლანდია)

95 კგ: 1. ივან რადუ (რუმინეთი), 2. პედრო სოარეში (პორტუგალია), 3. გისლენ ლემერი (საფრანგეთი) და კიმ მინ სუ (კორეა)

მძიმე: 1. ნაოტო იაბუ (იაპონია), 2. ჰარი ვან ბარნეველდი (ბელგია), 3. აიტამი რუანო (ესპანეთი) და იოშიჰარუ მაკიში (იაპონია)

ქალები

48 კგ: 1. ამარილის სავონი (კუბა), 2. ჰი იუნ იუ (კორეა), 3. დიორტე დამანი (გერმანია) და ტომოე მაკაბე (იაპონია)

52 კგ: 1. ინგე კლემენტი (ბელგია), 2. ლი იონ ტანგი (ჩინეთი), 3. კაზუე ნაგაი (იაპონია) და ლენია ვერდესია (კუბა)

56 კგ: 1. დრიულის გონსალესი (კუბა), 2. ჰუან ლიუ (ჩინეთი), 3. მარიხაბელ ლომბა (ბელგია) და იზაბელ მანიე (საფრანგეთი)

61 კგ: 1. კენია როდრიგესი (კუბა), 2. იუ იუნ კინი (ჩინეთი), 3. ირენა ტოკარჟე (პოლონეთი) და გელა ვანდეკავეე (ბელგია)

66 კგ: 1. მინ სუნ ჩო (კორეა), 2. ივონ ვანსარტი (გერმანია), 3. კარინ რამბო (საფრანგეთი) და რისა კაზუმი (იაპონია)

72 კგ: 1. საკი იოშიდა (იაპონია), 2. ჰაიდი რაკელსი (ბელგია), 3. ენდანსი სილვა (ბრაზილია) და სანდრა ბაჩერი (აშშ)

მძიმე: 1. იუან ჰუა (ჩინეთი), 2. იუნ კიუნ ლი (კორეა), 3. დაიმა ბელტრანი (კუბა) და მიჰო ნინომია (იაპონია)

### ქართველები მიუნხენის ტურნირზე

60 კგ. ნესტორ ხერგიანი: ფაიქ ილდირიმი (თურქეთი) 5:0, კენიჩი ჰარადა (იაპონია) 0:5, მელეკ მელკე (გერმანია) 0:7

65 კგ. გიორგი რევაზიშვილი: ბენიუნეშ ჰაოულანი (მაროკო) 10:0, ალდვინ ტორლაკოვიჩი (ბოსნია) 10:0, ერიხ ივინგერი (ავსტრია) 10:0, დორთფალამ ნარმანდახი (მონღოლეთი) 10:0, მიცუტოში ნანძიო (იაპონია) 0:3. გიორგი ვაზაგაშვილი: ჰუსეინ ოზქანი (თურქეთი) 5:0, ენრიკე გიმარაეში (ბრაზილია) 10:0, ხოსე ტორო (ესპანეთი) 10:0, მიცუტოში ნანძიო (იაპონია) 0:5, გრეგორი ლერუ (საფრანგეთი) 10:0

78 კგ. ზაზა გულიაშვილი: სედრიკ კლავერი (საფრანგეთი) 0:10, მარსელ ბოსე (ჰოლანდია) 0:10

86 კგ. სოსო ლიპარტელიანი: ბრაიან ოლსონი (აშშ) 0:5

95 კგ. ივერი ჯიქურაული: პატრიკ ნებუთი (გერმანია) 10:0, ხუან გონსალესი (ესპანეთი) 0:10, შიგერუ ოკაიზუმი (იაპონია) 10:0, კიმ მინ სუ (კორეა) 0:10

მძიმე. ალექსი დავითაშვილი: რალფ კოსერი (გერმანია) 0:5. რამაზ ჩოჩიშვილი: დამირ სუვიჩი (ავსტრია) 10:0, ფოლკერ ჰეიერი (გერმანია) 0:10


**გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?**

ERC

მოაკითხეთ, „ელიტა — ხკ"-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლოთ? მოაკითხეთ „ელიტა — ხკ"-ს.

„ელიტა — ხკ"-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა ხკ"-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25


ჭადრაკი

## ქალებს რას გაუგებ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირი.

მოულოდნელად დასრულდა ქალთა შეჯიბრი. რუსუდან გოლეთიანი, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში ლიდერობდა და ორი ტურით ადრე ქულანახევრით უსწრებდა უახლოეს მდევრებს, ბოლო ორ შეხვედრაში დამარცხდა და სამეულშიც ვერ მოხვდა.

ამით ისარგებლა დიანა დარჩიამ, ბოლო ტურში ინგა ჭარხალაშვილს მოუგო და 7 ქულით პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე ადგილზე სოფიკო ტყეშელაშვილი გავიდა, რომელთანაც ბოლო ტურში ხელი მოეცარა გოლეთიანს. მესამე საპრიზო ადგილი მირანდა ხორავას ერგო, მან ნათია აფხაიძე სძლია. სამივე მოჭადრაკე ქალმა 7-7 ქულა მოაგროვა და ადგილთა თანმიმდევრობა კოეფიციენტების ცხრილმა გაარკვია.

დარჩიამ 20 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, ტყეშელაშვილმა — ევროპისა.

ვაჟთა შორის გიორგი ბაზტაძემ კარგად დაიწყო და ბოლო ტურშიც იმარჯვა — ბალხამიშვილს მოუგო და 7,5 ქულით პირველი ადგილი და ევროპის პირველობის საგზური არავის დაუთმო. მიხეილ მჭედლიშვილმა ბაზტაძის გამარჯვების შემდეგ პირველობის შანსი დაკარგა და ყაიმზე შეუთანხმდა აროშიძეს. მჭედლიშვილმა 7 ქულა დააგროვა. მესამეზე დავით შენგელია გავიდა 6,5 ქულით, მეოთხეზე ლევან აროშიძე — 6 ქულა. მჭედლიშვილმა, შენგელიამ და აროშიძემ საქართველოს ვაჟთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

ტანვარჯიში

## ტანმოვარჯიშეები საბერძნეთში

ხვალ საბერძნეთში, ქალაქ კალამატას საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრებიან ქართველი ტანმოვარჯიშეები ეკა აბრამია, ვანდა კერესელიძე და ინგა თავდიშვილი. გოგონებს საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ელისო ბედოშვილი უხელმძღვანელებს. ამ ტრადიციულად ძლიერი შემადგენლობის ტურნირზე იმსაჯებს ბელა სისაური-კობალაძე, რომელსაც სულ ახლახან ბულგარეთში გამართულ მსაჯთა სემინარზე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა.

ჩვენი სპორტსმენები საქართველოში 11 მარტს დაბრუნდებიან.

მშვილდოსნობა

## აჭარლები კარგად ისვრიან

სამი წელია, საქართველოში მშვილდოსნები არ შეჯიბრებიან ერთმანეთს. და ახლა, 25-26 თებერვალს, არმიის სპორტული კლუბის ტირში გაიმართა საქართველოს ზამთრის პირადი ჩემპიონატი. ტურნირი ორ ეტაპად, მე-3 პროგრამით წარიმართა, რაც 18 მეტრზე 30-30 ისრით ორჯერად სროლას ითვალისწინებს. ფინალი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა — კაცებში რვა, ქალებში კი ოთხი მონაწილე იყო.

პირველ ადგილს აჭარლები — თამაზ ბასილაძე და სერგო ბერიძე შეეცილნენ ერთმანეთს. ბასილაძემ 120-დან 111 ქულა გაახერხა და საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა. მესამე ადგილი ასევე აჭარელმა თამაზ ფუტკარაძემ თბილისელ დავით ლეკვეიშვილს არ დაუთმო.

ქალთა შეჯიბრში კი ბრინჯაოს მედლის მფლობელის მეუღლემ ხათუნა ფუტკარაძემ აჯობა ყველას. მეორე-მესამეზე თბილისელები იამზე ტალახაძე და ხათუნა კობახიძე გადაიდნენ.

საქართველოს ქალთა ნაკრები 18-23 მარტს მონაწილეობას მიიღებს ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც სტამბოლში ჩატარდება. გოგონების მგზავრობის ხარჯებს დეპარტამენტი გაიღებს. კაცები კი იმ შემთხვევაში მოხვდებიან თურქეთში, თუ აჭარის მშვილდოსნობის მესვეურები საამისო თანხას გამონახავენ.


**იყიდება**

ირანული გაზის ბალონების ფითილები და შუშები ხაბითუმო ფასებში.

ტელ: 95-22-56 საღამოს საათებში


კალათბურთი

## ევროპის ჩემპიონატი

მე-10 ტური. 26 თებერვალი

A ჯგუფი

სლოვაკეთი — ბოსნია 87:108
ბელარუსი — ისრაელი 57:65
საქართველო — საბერძნეთი 61:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ***საბერძნეთი*** | 10 | 9 | 1 | 791:665 | 19 |
| ***ბოსნია*** | 10 | 7 | 3 | 760:712 | 17 |
| ***ისრაელი*** | 10 | 6 | 4 | 811:734 | 16 |
| ბელარუსი | 10 | 4 | 6 | 747:791 | 14 |
| საქართველო | 10 | 3 | 7 | 753:819 | 13 |
| სლოვაკეთი | 10 | 1 | 9 | 740:881 | 11 |

B ჯგუფი

ლატვია — ესტონეთი 85:74
პორტუგალია — გერმანია 66:73
ინგლისი — რუსეთი 79:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ***რუსეთი*** | 10 | 10 | 0 | 966:727 | 20 |
| ***ლატვია*** | 10 | 7 | 3 | 813:776 | 17 |
| ***გერმანია*** | 10 | 7 | 3 | 810:793 | 17 |
| ესტონეთი | 10 | 4 | 6 | 823:857 | 14 |
| ინგლისი | 10 | 1 | 9 | 723:875 | 11 |
| პორტუგალია | 10 | 1 | 9 | 740:847 | 11 |

C ჯგუფი

ჩეხეთი — ფინეთი 99:75
უნგრეთი — სლოვენია 62:67
მაკედონია — იტალია 84:105

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ***იტალია*** | 10 | 9 | 1 | 838:677 | 19 |
| ***სლოვენია*** | 10 | 7 | 3 | 760:661 | 17 |
| მაკედონია | 10 | 4 | 6 | 793:846 | 14 |
| უნგრეთი | 10 | 4 | 6 | 719:797 | 14 |
| ჩეხეთი | 10 | 3 | 7 | 798:836 | 13 |
| ფინეთი | 10 | 3 | 7 | 817:908 | 13 |

D ჯგუფი

უკრაინა — ბულგარეთი 79:60
ჰოლანდია — თურქეთი 63:73
რუმინეთი — ხორვატია 65:108

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ***უკრაინა*** | 10 | 8 | 2 | 834:705 | 18 |
| ***ხორვატია*** | 10 | 7 | 3 | 823:647 | 17 |
| ***თურქეთი*** | 10 | 7 | 3 | 732:671 | 17 |
| ბულგარეთი | 10 | 5 | 5 | 776:812 | 15 |
| ჰოლანდია | 10 | 3 | 7 | 712:775 | 13 |
| რუმინეთი | 10 | 0 | 10 | 629:896 | 10 |

E ჯგუფი

ბელგია — შვედეთი 78:79
პოლონეთი — საფრანგეთი 73:89
შვეიცარია — ლიტვა 62:118

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ***საფრანგეთი*** | 10 | 10 | 0 | 813:644 | 20 |
| ***ლიტვა*** | 10 | 6 | 4 | 896:786 | 16 |
| ***პოლონეთი*** | 10 | 5 | 5 | 837:807 | 15 |
| შვედეთი | 10 | 4 | 6 | 725:778 | 14 |
| ბელგია | 10 | 4 | 6 | 770:774 | 14 |
| შვეიცარია | 10 | 1 | 9 | 651:903 | 11 |

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფინალურ ეტაპზე. მათ ემატებათ იუგოსლავია (ჩემპიონი) და ესპანეთი (მასპინძელი).*

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

26 თებერვალი

საკრამენტო — ბოსტონი 111:105, დეტროიტი — გოლდენ სტეიტი 117:84, ორლანდო — მაიამი 98:86, ინდიანა — სიეტლი 92:78, ატლანტა — მილუოკი 79:72, მინესოტა — სან ანტონიო 108:89, ფინიქსი — ფილადელფია 111:104, ნიუ იორკი — პორტლენდი 96:95, კლიპერსი — ვანკუვერი 83:80

27 თებერვალი

კლივლენდი — ჩიკაგო 73:70, ლეიკერსი — ვაშინგტონი 122:107, მინესოტა — დალასი 107:105, შარლოტი — ჰიუსტონი 106:95, იუტა — ტორონტო 118:114

### აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 42 | 14 | 75,0 |
| ნიუ იორკი | 41 | 16 | 71,9 |
| ორლანდო | 29 | 25 | 53,7 |
| ვაშინგტონი | 25 | 31 | 44,6 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 38 | 30,9 |
| ფილადელფია | 14 | 40 | 25,9 |
| ბოსტონი | 11 | 44 | 20,0 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 49 | 7 | 87,5 |
| დეტროიტი | 41 | 14 | 74,5 |
| ატლანტა | 37 | 18 | 67,3 |
| შარლოტი | 36 | 22 | 62,1 |
| კლივლენდი | 31 | 24 | 56,4 |
| ინდიანა | 26 | 29 | 47,3 |
| მილუოკი | 25 | 30 | 45,5 |
| ტორონტო | 20 | 36 | 35,7 |

### დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 40 | 15 | 72,7 |
| ჰიუსტონი | 37 | 20 | 64,9 |
| მინესოტა | 29 | 27 | 51,8 |
| დალასი | 19 | 35 | 35,2 |
| დენვერი | 17 | 40 | 29,8 |
| სან ანტონიო | 13 | 42 | 23,6 |
| ვანკუვერი | 11 | 48 | 18,6 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 39 | 16 | 70,9 |
| ლეიკერსი | 39 | 17 | 69,6 |
| პორტლენდი | 29 | 28 | 50,9 |
| კლიპერსი | 24 | 29 | 45,3 |
| საკრამენტო | 25 | 31 | 44,6 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 34 | 37,0 |
| ფინიქსი | 21 | 36 | 36,8 |

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**26 თებერვალი. ჰართფორდი — ჩიკაგო 2:2, ოტავა — ფილადელფია 5:8, აილენდერსი — ნიუ ჯერსი 3:5, ტორონტო — ვაშინგტონი 1:3, კალგარი — ფინიქსი 2:5, ანაჰაიმი — ედმონტონი 3:3.**

**27 თებერვალი. ბოსტონი — ტამპა 6:2, ნიუ ჯერსი — ბუფალო 4:1, ფლორიდა — სენტ ლუისი 3:2, დეტროიტი — პიტსბურგი 4:1, კოლორადო — დალასი 2:6, ვანკუვერი — ფინიქსი 6:2, ლოს ანჯელესი — ედმონტონი 6:3.**

უკვე გაუწყეთ, რომ სეზონის ერთ-ერთმა ფავორიტმა ნიუ ჯერსიმ ტორონტოდან ძლიერი გამთამაშებელი, 33 წლის დუგ გილმორი მიიწვია. მისი გადაყვანა გუნდის შედეგიანობის ასამაღლებლად გახდა საჭირო — მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთში „ეშმაკებმა" მეორე ადგილზე აინაცვლეს, გატანილი გოლებით ლიგის ბოლოსწინა ადგილზე (!) იმყოფებიან. გილმორის მოსვლამ ნიუ ჯერსის შეტევებს სიმწვავე შემატა. ორ დღეში კლუბმა ორი მნიშვნელოვანი მოგება ჩაიწერა. პირველ შეხვედრაში აილენდერსთან გილმორმა 4(1+3) ქულა დააგროვა. რაც შეეხება ბუფალოსთან მატჩს, აქ ყველაფერი ბოლო პერიოდში გადაწყდა, როდესაც გილმორმა კვლავ გაიტანა და შეწყვიტა მრისხანე მეტოქის 12-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია. თვით „ეშმაკებმა" კი 16 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგეს. ასე რომ, ექს-ტორონტოელის დებიუტი უკეთესი გამოდგა, ვიდრე მოელოდნენ.

ტორონტოს კი ერთობ დაეტყო ლიდერის დაკარგვა. ფსიქოლოგიურად გატეხილმა კლუბმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუთმო ვაშინგტონს. გილმორის ნაცვლად მიღებულმა სალივანმა ერთი შედეგიანი პასი გააკეთა, ვაშინგტონელმა რუსმა ნიკოლიშინმა კი ტრავმის მოშუშება პასით აღნიშნა. სამაგიეროდ, მეორე შეხვედრაა უფერულად თამაშობს კლუბის სნაიპერი ბონდრა.

კოლორადოსთან მძიმე მატჩის შემდეგ ოტავამ 8 შაიბა მიიღო ფილადელფიისგან. არადა, 29-ე წუთამდე ოტავა 5:4-ს იგებდა. „მფრინავთაგან" საუცხოოდ ითამაშა ლინდროსის სამეულმა. ლეკლერმა სეზონში მეორე ჰეთ-თრიქი გააკეთა, ლინდროსმა (1+5) და რენბერგმა (2+3) კიდევ 11 ქულა მიითვალეს. მათ მონაგარ 15 (6+9) ქულას ერთიღა დააკლდა სამეულის მიერვე 6 თებერვალს მონრეალთან დამყარებულ სეზონის რეკორდამდე.

და მაინც, მორიგ შეხვედრებში გამოჩნდა მოთამაშე, ვინც ამ სუპერსამეულს ტოლი არ დაუდო. ყელინამ გამოაცოცხლა კარგა ხანს არაფრით გამორჩეული ვანკუვერი, ერთბაშად 4 შაიბა შეავდო და ერთი პასიც დაამატა. ეს მისი პირადი რეკორდია. თან ყელინას და მისი პარტნიორების კურტნოლის (1+3) და ლინდენის ძალისხმევით „კენაქსმა" გაიმარჯვა და 3-მატჩიანი მარცხიანი სერია შეწყვიტა.

უჩვეულო სიტუაციაა დასავლეთის კონფერენციაში. მეექვსე ადგილზე მყოფ ფინიქსს მხოლოდ სამი ქულა აშორებს კალგარისაგან, რომელიც მეათეა. აქ მთავარი მოვლენები ჯერ კიდევ წინ არის. პირველი ხუთეულიდან კი ანაჰაიმმა და ჩიკაგომ თითო ქულის აღება შეძლეს, ხოლო ფინიქსმა ვანკუვერთან განადგურებამდე მეტად საჭირო მოგება მოიპოვა კალგარიში. თანაც, ვეტერანმა გარტნერმა და მეპასე ჯენიმ დუბლი გააკეთეს, მეკარე ხაბიბულინმა კი 30 დარტყმა მოიგერია.

და ბოლოს, გრანდების ორ შეხვედრაზე. შეუპოვარი ბრძოლა არც დეტროიტში გაჩაღდა, არც კოლორადოში. თუმცაღა, პიტსბურგი ბოლო ხანს არ გამოირჩევა. კლუბის პრობლემებს იაგრისა და ფრენსისის ავადმყოფობაც დაემატა. დეტროიტელებთან აღნიშვნის ღირსია შენაჰან-ლარიონოვის დუეტი, რომელიც თებერვალში ამოქმედდა. პარტნიორებმა, რომლებიც ჯერჯერობით კარგად უგებენ ერთმანეთს, სამი შაიბა მოაწყვეს.

პიტსბურგელმა ლემიემ 1468-ე ქულა დააგროვა და ლიგის ბომბარდირთა ისტორიულ სიაში მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

**სამველ ლარიბიანი**

გელა აზვლედიანის



სვეტი

## წყალგაღმა კალათბურთისა

„ოკეანის გაღმელო, საზიზღარო სემ,
ზანგებს რატომ აწამებ და ბავშვებს
რატომ სცემ?"

გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს ბოლშევიკური შაირი კალათბურთის გამო გამახსენდა. კალათბურთი ისეთი სპორტია, რომ ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრა მეტად თვალშისაცემად ჩანს ხოლმე. ვთქვათ, გამოიჭერს დიდი პატარას და 97:17-ს მოუგებს. თითქმის წარმოუდგენელია ისეთი რამ, რომ სუსტმა ძლიერს მოუგოს. ფეხბურთში ეს საქმე გაგიხარია, ყვავის: აი, „რუხენბორგი" „მილანს" მოუგებს, „ბრანი" კი „ეინდჰოვენს". კალათბურთში ეს სრულიად წარმოუდგენელია.

ასეთ რამეებს ვფიქრობდი, როცა ჩვენები ბერძნებს ეთამაშებოდნენ. ბერძნული კალათბურთი ხომ განთქმულია ევროპის მასშტაბით. შარშანდელი პანათინაიკოსი — ბარსელონა ხომ გახსოვთ, ანდა ბერძნული დაცვითი სისტემები? ამიტომ ელიანი რომ ქართველთ მაინც გასტეხდნენ, იგრძნობოდა და ასეც მოხდა. ეს კალათბურთის აუცილებელი წესია. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ეს თამაში და ყველა სხვა თამაში, რაც კი ამ დღეს გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, დიდად პირობითი რამ არის.

მსოფლიოში ერთი ფეხბურთი არსებობს, კალათბურთი კი ორია — წყალგაღმა და წყალგამოღმა. ვინც წყალგამოღმა იჩემებს მაგარ ბიჭობას, მან წყალგაღმა უნდა დაამტკიცოს ეს და ასეთი ბიჭებიც ყოფილან. ვთქვათ, ცხონებული დრაჟენ პეტროვიჩი, ანდა მისი თაობის სხვა ბალკანები, ან გინდათ ოლაჯუონი, ბებერი საბასი, დეტლეფ შრემპფი და სხვები. თუ ცალკეული მაგარი ბიჭისთვის ეს შესაძლებელია, სრულიად შეუძლებელია ევროპაში ცხვირაბზეკილი გუნდებისთვის.

ამას იმიტომ მოგახსენებთ რომ პრინციპულ ჭიდილში დენვერი, სან ანტონიო, ტორონტო, ფილადელფია, ვანკუვერი, ბოსტონი (წლევანდელი აუტსაიდერები ჩამოვთვალე) წყალგამოღმა მსოფლიოს ნაკრებს დაამარცხებენ. მგონია, რომ ასე იქნება და სანამ კალათბურთი დიდებისა და პატარების თამაშად რჩება, მანამდე ამას წყალი არ გაუვა. დიდები გაღმა არიან. თამაში იქ არის გახურებული. თქვენ გგონიათ მხოლოდ NBA-ს გამო ვამბობ? უმთავრესად ამაზე, მაგრამ განა ევროპელებს შეუძლიათ შეტოქება სტუდენტური კალათბურთის პირველი ოცეულის გუნდებთან? აღარაფერს ვამბობ იმ ასობით ამერიკელზე, ევროპას რომ მოსდებია და დიდი თუ პატარა გუნდების ლიდერად ქცეულა. არც იმ დაბერებულ ვარსკვლავებზე (ჰეივუდითა და მაკადუთი დაწყებული, ვილკინსით დამთავრებული), მთელს ევროპას რომ კალათბურთს ასწავლიან. დიახ, ამერიკელი გალისი რომ არ ყოფილიყო, ოთხმაბათს ქართველები ბერძნებს დაამარცხებდნენ. ქართველები კი არა, საერთოდ, იარსებებდა თუ არა ბერძნული კალათბურთი, მისი სტილი და ამბიცია, ძნელი სათქმელია.

იმ დღეს სახახლეში ქომაგმა იკითხა, ჯორდანი რომ გვყავდეს, ბერძნები 13 ქულას ხომ ვერ დაგვიქაჩავდნენ და მეორე ტაიმში ხომ ჩვენ დავუქაჩავდით და მოვუგებდითო.

ახლა ჯორდანი შეაწუხე ამ საქმეზე. ის თვეში შვიდჯერ მაინც იგებს ბოლო წამზე, ზუსტად 40 ფუტიდან ნასროლი ბურთებით. ამ საქმისთვის მისი შეწუხება სირცხვილიც კია. აი, უილტ ჩემბერლენისთვის რომ გვეთხოვა (სამოცდაათსაა მიტანებული, მოცლილია და სიამოვნებით მოუგებდა ბერძნებს), სხვა საქმეა.

NBA-ს გუნდები დღეგამოშვებით თამაშობენ 48 წუთს, ორიოდე თვეც და ფლეიოფებს გაახურებენ. თუ რომელიმე წყალგამოღმა მოთამაშე ამ შეჯიბრში გამოიჩენს თავს, კაციც ის იქნება, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ ეს შეჯიბრებაა და არა ფიბას მოგონილი გათამაშება.

გაუმარჯოს წყალგაღმა კალათბურთს, მალე დამსგავსებოდეს წყალგამოღმა კალათბურთი და ჩვენც მარაქაში ვიყოთ.

თორემ მარტო მწვრთნელთა მშვენიერი კოსტუმებით ამერიკელებისთვის თავის მიმსგავსება ლამაზი კია, მაგრამ უსარგებლო.

აი, ასეთ დღეში გვაგდებს საზიზღარი სემი.

# ზამთრიდან ზამთარში

## ზურა და ალეკო კივეთს გაფრინდებიან

თუ ოქლენდში ოჯახით გადასახლებულ ძველ მოთამაშე ლევან ქავთარაძეს სათვალავში არ ჩავაგდებთ, ქართველ მორაგბეებს ამ შორეულ ქვეყანაში არათუ არასოდეს უთამაშიათ, არც ყოფილან. ახლა ჩვენი რაგბის კავშირის მოწადინებით ეს ნაკლიც გამოსწორდა: კივის სამშობლოში განსასწავლად ერთბაშად ორი ქართველი „ბორჯღალოსანი“ — ზურაბ მჭედლიშვილი და ალექსანდრე ლიბრაძე ჩავა.

საქმე ასე იყო: ოქტომბერში, რომში, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) მესამე საყოველთაო კრებაზე საქართველოს რაგბის კავშირის დელეგატები — პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი დაუახლოვდნენ ახალი ზელანდიის ორიდან ერთ წარმომადგენელს ირბ-ის ალმასკომში, სამხრეთ ქენთებრელ თიმ გრესონს და ჩვენი ბიჭების ზელანდიაში მოწყობა თხოვეს.

გრესონი ქართველ რაგბის მამებს შემწეობას შეპირდა. პირიანი კაციც გამოდგა. შინ რომ ჩავიდა, ფაქსით სავარაუდო წამსვლელთა სია და მონაცემები მოითხოვა. კავშირის უფროსობამ საამისოდ ხუთი მოთამაშე შეარჩია: სამი გუმარელი — ნაკრებისა და კლუბის კაპიტანი დიმა ობოლაძე, 9 ნომერი შოთა მოდებაძე და მორკინალი ზურაბ მჭედლიშვილი, თითო „ყოჩი“ — მორკინალი რატი ურუშაძე და „ქორი“ — ასევე მორკინალი ალეკო ლიბრაძე, და გრესონის ოფისს დროულად უპატაკა.

მერე მტანჯველი, ლამის ორთვიანი პაუზა ჩამოწვა. ბიჭები აქ მონდომებით ემზადებოდნენ. ბოლოს გაირკვა, რომ გრესონს საქმე თავისი პროვინციის რაგბის კავშირის მენეჯერ ლინდზი ჰიუითონისთვის გადაებარებინა. ჩვენებს საპასუხო ფაქსმა მიუსწრო საფრანგეთში, სადაც ნაკრები საწვრთნელად იყო.

მენეჯერი მიმდგარ-მომდგარა, კლუბები შეუწუხებია და ორი ჩვენიანისთვის — ლიბრაძისა და მჭედლიშვილისთვის მართლაც გამოუნახავს პატრონი — ფლეზენთ-ფოინთის კლუბი, სამხრეთ ქენთებრის პირველობაზე რომ თამაშობს.



ზურაბ მჭედლიშვილი

26 წლისა; გუმარი; 2 კეპი (1995-96)

„საქენერგოს“ თანამშრომელი თამაში 1991 წელს დაიწყო „შევარდენში“. მოწაფეობისას კალათბურთელობდა



ალეკო ლიბრაძე

24 წლისა; ქორები; 8 კეპი (1992-96)

თამაშობდა „უნივერსიტეტში“. განათლებით ეკონომისტია. მამამისი ავთო 70-იან წლებში „ლოკომოტივის“ კაპიტანი იყო

თავად ეს პროვინცია დიდი ვერაფერი ხვითოა. ცენტრი ქალაქ თიმარუში აქვს, შავმწვანე კვართები მოსავს, მთავარი სტადიონი კი 17 ათას მაყურებელს იტევს. შარშანდელ პირველობაზე სამხრეთმა ქენთებრიმ მეორე ჯგუფში VII ადგილი დაიჭირა. შევნიშნავთ, რომ ქვეყნის პირველობას სამ, 9-გუნდა ჯგუფად განაწილებული 27 პროვინცია თამაშობს.

ფლეზენთ-ფოინთი თიმარუდან 15 წუთის სავალზე გაშენებული 1 000-კაცა დაბაა. მოსახლეობა მესაქონლეობითაა დაკავებული. ჩვენს ბიჭებს ფერმერები ოჯახებში ჩაისახლებენ და ცხვრის მკრეჭავად („შირერ!“) ამუშავებენ, თან ამბიციურ, მზარდ კლუბში ათამაშებენ. გარემოს რომ შეეჩვევიან, მერე ცალკე ბინას მივცემთო, — იწერება მენეჯერი.




ალეკო და ზურა კარგი ბიჭები არიან. მათ მშვენივრად ესმით, რომ ზელანდიაში სრული სეზონის გატარება მათ სარაგბო ზრდას ერთიორად წაადგება. ამიტომ ამ, ერთი შეხედვით უცნაურ სამუშაოსაც არ ითაკილებენ.

ზელანდიაში ახლა შემოდგომაა. გაგანია ზამთარში (ივლისში) თიმარუში 2-4 გრადუსი სითბო თუღა იქნება. მოსალოდნელია თოვა და ქარიც. საკლუბო პირველობა სამ კვირაში იწყება, პროვინციათა ჩემპიონატი — აგვისტოში. ჩვენების შემართება და ნიჭი რომ ვიცით, შეიძლება ისე მოხდეს, რომ პროვინციის ნაკრებში აიყვანონ. მაშინ ქართველები ერთი დონით უკეთეს ასპარეზსაც დააჭაშნიკებენ.

გული არც იმ ბიჭებს უნდა დაწყდეთ, „კივეთში“ წელს რომ არ დაუპატიჟიათ. როგორც თიმარუდან მოუბოდიშეს პრეზიდენტ გეგიძეს, ჩვენთან ამჟერად ეკონომიკური დაღმავლობა შეინიშნება, მჭედლიშვილი და ლიბრაძე კი კლუბმა თავად ამოირჩიაო. ყამირი რომ გატყდება, სამომავლოდ ალბათ სხვებსაც წავიყვანთო.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ არჩევანი ალბათ მეტწილად განაპირობა იმან, თუ რა ამპლუის მოთამაშეები ჭირდებოდათ ფლეზენთ-ფოინფელებს და კიდევ იმან, რომ ინგლისური ორივემ მეტ-ნაკლებად იცის.

# სად ისწავლეს ამათ რაგბიო

ოთხშაბათ ღამით ფრანკფურტის თვითმფრინავმა ჩამოგვიყვანა რაგბის ეროვნული ნაკრები, რომელმაც თებერვლის ბოლო ორი კვირა საფრანგეთში გაატარა. დაიწყო პარიზით, მერე სამხრეთისაკენ დაუყვა და თამაშ-თამაშ სანაპირომდე მივიდა. სულ ჩვენმა „ბორჯღალოსნებმა“ ოთხი ნაღდი და ერთიც ისე-რა თამაში გამართეს. ნამდვილი მატჩებიდან მოიგეს ერთი, წააგეს ორი; ერთიც ფრედ დასრულდა. როგორც ჩვენები ირწმუნებიან, ეს ფრე მთლიანად მასპინძელი მსაჯის სინდისზეა.

საქართველოს ეროვნული გუნდი საფრანგეთს იქაურმა რაგბის ფედერაციამ მიიწვია. პირველ თამაშშიც — პარიზში, 14 თებერვალს ჩვენები იმად დააჯახეს თავიანთ მესამე ნაკრებს, რომ უელსმა ამ რანგის გუნდი არ ჩაუყვანათ. ხუთი ერის პირველობის წევრებს წესადა აქვთ, ვიდრე შაბათს უმთავრესი გუნდები შეიბმებოდნენ, წინადღით ჯერ უფრო დაბალი რანგის ნაკრებებითაც შეუმოწმონ ერთურთს ძალა.

„ბორჯღალოსნების“ ვიზიტი საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა დააფინანსა. ორგანიზაციული მხარე მოაგვარა რაგბის კავშირის საფრანგეთში მოღვაწე ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა, ვინაც მერე მთელი ტურნეს მანძილზე გვერდიდან არ მოშორებია გუნდს და თარჯიმნობასაც უწევდა.

ზაზამ ჩვენებს დაახვედრა სათამაშო ტანისამოსის სამი სრული, ახალთახალი კომპლექტი, რომელთაგან ერთი ჩვენმა ბიჭებმა თავიანთი სიტუტუცით იმ საფრანგეთის ნაკრებს გაუცვალეს, რომელთანაც 13:23 წააგეს.

ამ თამაშს საქართველოს ელჩი გოჩა ჩოგოვაძეც დასწრებია. შესრულდა მეტოქეთა სახელმწიფო ჰიმნები. როგორც ადრევე ვწერდით, ჩვენები ვაჟკაცურად დაუდგნენ პერსპექტიულ „მამლებს“ და ერთი პირობა კიდეც უგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ გამოუცდელობის გამო თუ წააგეს.

ჩვენები ამ თამაშმა ძალზედ დაღალა. სამი დღის შემდეგ იგივე შემადგენლობა ბურგუნდიაში — დიჟონში ეთამაშა იქაურ კლუბს, ქვეყნის 20-გუნდა პირველ დივიზიონში რომ თამაშობს. პირველი ნახევარი ჩვენებმა 10:21 წააგეს, მაგრამ მეორეში იგივე დაემართათ, რაც შარშანწინ — ჰოლანდიაში. ერთი ეგაა, რომ მიზეზი ამჯერად ქართველთა უწესობა არ ყოფილა. თამაში 61:10 დასრულდა. ფრანგები გადი-გამოდიოდნენ ჩვენს დაცვაში.

შემდეგი მატჩი „ბორჯღალოსნებს“ სუსტ კლუბ „კორტოსთან“ ჰქონდათ. სამი წლის წინ „გუმარს“ სწორედ მან უმასპინძლა და ახლა ნაკრებიც რომ ეწვია, [illegible] კორტოსელებმა [illegible] გაჩაღდა [illegible] რაგბი [illegible] რში არ ურტყამდნენ, მხოლოდ ლელოს გასატანად [illegible] შეუბერეს. საბოლოოდ ლელოებით 6-3 გაუმარჯვნია იმ გუნდს, რომლის უმრავლესობაც თავიდან ჩვენები იყვნენ.

მეოთხე მატჩი გაიმართა მეორე დივიზიონის კლუბ „გროლიესთან“, რომელშიც თამაშობს ჩვენი ვანო ნადირაძე. ნაკრებმა ამ კლუბს მაგრად აჯობა, ფრანგმა მსაჯმა კი თამაში მანამ არ დაამთავრა, სანამ თავისიანებს ლელო არ გაატანინა; ისიც — წესების მრავალგზისი დარღვევით. ფრე 12:12.

ბოლო მატჩი ქართველებმა სამშაბათს გამართეს. გუნდმა 18:11 დაამარცხა პროვანსის ნაკრები.

როგორც ქართველთა მეორე მწვრთნელმა დავით კილასონიამ გვითხრა, იგი და უფროსი მწვრთნელი გურამ მოდებაძე ტურნეთი ერთობ კმაყოფილი არიან. თუ ქვეყნის მთავარ რაგბის გუნდს შინ სავარჯიშო მოედანი არა აქვს და მძლეოსნობის სექტორში ამუშავებს ტაქტიკურ სქემებს, საფრანგეთში „ბორჯღალოსნებმა“ ხავვრიელად ივარჯიშეს და სპარინგ-პარტნიორებიც კარგი შეხვდათ. თუ ბიჭებმა ასე გააგრძელეს, 20 აპრილს პორტუგალიის სტუმრად დამარცხებაც არ უნდა გაგვიკვირდეს. ამის შედეგად ჩვენები მოხვდებიან ფირა-ს ჩემპიონატის დიდ ფინალში, 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი შეჯიბრისათვის კი იოლი ქვეჯგუფი და ხელსაყრელი კალენდარი დაბევებული ექნებათ.

კილასონიამ თავი მოიწონა, ტულუზში გამომავალმა რაგბის ყოველკვირეულმა გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ დაწერა, ნატავ სად ისწავლეს ქართველებმა რაგბის ასე კარგად თამაში, ანაც აგრე განსწავლული მწვრთნელები საიდანა ყავთო. ჩვენს მოძღვებს ცხოველი კონტაქტი ჰქონიათ ფრანგ კოლეგებთან და რაგბის სხვადასხვა ასპექტზე დავაკამათისას ისინი ბევრჯერაც ჩაუჭრიათ. გარდა ამისა, მოდებაძესა და კილასონიას პორტუგალიის ნაკრების შესახებაც მოუძიებიათ მასალა, მაგრამ ამაოდ დამშვრალან — ფრანგ მორაგბეთა ლიანგს სამხრეთელებზე ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია.

ნაკრები თბილისში აგრძელებს წვრთნას. კავშირს გეგმადა აქვს, რომ გუნდი პორტუგალიასთან სათამაშოდ ერთი კვირით ადრე გაისტუმროს ევროპას და საფრანგეთის ქალაქ ნარბონის რაგბის კლუბში მოაწყოს.

## უცხოური კრიალოსანი




### ხუთი ერის პირველობა

IV ტური. დღეს:

ინგლისი — საფრანგეთი

შოტლანდია — ირლანდია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 87: 19 | 10- 1 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 59: 37 | 8- 3 | 4 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 81: 72 | 10- 8 | 2 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 47:103 | 3-13 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 32: 75 | 2- 8 | 0 |



### ვინც მოიგებს, ჩემპიონია!

ლონდონში ფრანგებმა ბოლოს 10 წლის წინ გაიმარჯვეს. წარმატების დიდი შანსი დღეს არ უნდა ჰქონდეთ, რაკი ინგლისმა წინა ორ ტურში შედეგიანობის რეკორდები დაამყარა და გუნდსაც დაემსგავსა. შემადგენლობაც თვიქნემის ომისთვის უცვლელი ეყოლება.

ფრანგებს უელსის ძლევა სამი მოთამაშის დამტვრევად დაუჯდათ. სამაგიეროდ, დაუბრუნდათ ბურჯი ტურნერი და 10 ნომერი პენო. ლამეზონი, ვინაც ორი კვირის წინ სამი ლელო შეამზადა, თამაშს დაიწყებს იქ, სადაც დაამთავრა — შუამარბად.

თუ ინგლისი მოიგებს, მერე, ორი კვირის თავზე უელსთან სტუმრად გინდ წააგოს, ბურთების ბევრად უკეთესი სხვაობით მაინც გახდება ჩემპიონი. ზედიზედ მესამედ!

ედინბურგში მაჩანჩალათა შეჯიბრი იქნება. ირლანდიას ეკლდება ინგლისთან თამაშისას დაშავებულები — ელვუდი (10) და მილერი (8). 9 ნომრად გუნდის ერთ-ერთ დამლალატებელ ჰოგანს შეცვის ომირა.

შოტლანდიამ გადაიხალისა უკანა ხაზი. მთავარი შემოქმედი თაუნზენდი მორკინალებს მეტად განარიდეს — 10 ნომრიდან 12-ად გადაიყვანეს. შუამარბად მას უპარტნიორებს ალან თეითი, ვინაც ნაკრებში წინა ჯერზე 1987 წელს, I მსოფლიო თასის წაგებულ მეოთხედფინალში ითამაშა, მას აქეთ კი ლიგის რაგბის კლუბ „ლიდსში“ გადაბრძანდა და 13-კაცა თამაშის ბრიტანეთის ნაკრებშიც მოხვდა. თეითი რაგბში შარშანლა დაბრუნდა და ინგლისის „ნიუკასლს“ მიაშურა.

### მამული, ენა, ქურციკობა

ზანგების ფარულად გინებისთვის შინა-გამცემლის მიერ მხილებული სამხრეთი აფრიკის ნაკრების მწვრთნელი ანდრე მარკჰრაავი რომ გადადგა, ქვეყნისა და საერთაშორისო მედიამაც მისი შემცვლელის გამო გააჩაღა მსჯელობა. კანდიდატებად ასახელებდნენ ანდრეს თანაშემწეებს — ჰიუ რიის-ედვარდსსა და ნიკ მოლითს და თვით ლეგენდარულ 10 ნომერ ნას ბოთას, ამჟამად ჩრდ. ტრანსვაალის მეორე მწვრთნელი რომაა.

მედიამ ვერ გამოიცნო. რაგბის კავშირის თავკერძა პრეზიდენტმა, დოქტორმა ლუი ლეიტმა მარკჰრაავის ინგლისურად მოსაუბრე ექს-თანაშემწეებს ისევ მამალი ბური, „გარემარბების უფლისწულად“ ცნობილი კარელ დიუპლესი ამჯობინა, მარკჰრაავს შემოდგომაზევე რომ მიუჩინა „ტაქტიკურ მრჩევლად“. მართალია, 36 წლის დიუპლესი მწვრთნელი არასოდეს ყოფილა, მაგრამ აფრიკანერი ხომაა! ეს კი თეთრი ისთაბლიშმენთის თვალში პოსტ-აპარტჰეიდულ სამხრეთ აფრიკაშიც კი უძლეველი კოზირია!

ენა და სარწმუნოება იქეთ იყოს. დიუპლესი მართლაც განუმეორებელი მოთამაშე იყო. საერთაშორისო იზოლაციის გამო 1982-89 წლებში ოდენ 12 კეპი მოიხვეჭა და 4 ლელო გაიტანა, შინაურ ქარრის თასს კი დას. კონცხის შემადგენლობაში 5-ჯერ ფლობდა. პროვინციაშიცა და ნაკრებშიც კარელი ძმების — ვილისა და მიხაელის მხარდამხარ თამაშობდა.

### ზე-12-ის სერიალი

#### შარშანდელივით უბადლო



გუშინ პალმერსთონ-ნორსში (ზელანდია), ველინგთონისა და ვაიქათოს თამაშით დაიწყო მეორე ზე-12 — სამხრეთი ნახევარსფეროს პროვინციათა პირველობა, რომლის ბადალი შეჯიბრი არ მოეძევება არარა ბურთაობას: სამი მოწინავე სარაგბო ქვეყნის, რომელთაგან თითოეული მსოფლიოს ჩემპიონია, ნაღები — ყველა უკეთესი, სულ ნარჩევ-ნარჩევი მოთამაშე ზედიზედ 12 კვირის მანძილზე ჩაბმული იქნება ჯერ ლიგაში, რომელიც ინდოეთის ოკეანის ერთი კიდიდან მეორემდეა გადაჭიმული, მერე კი — ორკვირიან პლეი-ოფში.

წლევანდელი ზე-12-ის შემადგენლობა შარშანდელივითაა. ცვლილება ერთია — აფრიკის მეოთხე ადგილი დას. კონცხის ნაცვლად ერგო ნარინჯს (ბლუმფონტეინი), რომელმაც ეს პატივი შინაურ ქარრის თასზე უკეთესი ადგილის დაჭერით დაიმსახურა.

ფავორიტად კვლავაც ოქლენდი მიიჩნევა, თუმცკი ჯონა ლომუ აღარა ყავს. ტრადიციულად ძლიერი იქნებიან სიდნეის, ბრისბენის, პრეტორიის, დურბანის გუნდები. ვინძლო იოჰანესბურგისამაც გამოილოს ხელი. ანაც ვინა თქვა დანარჩენი ოთხი ზელანდური გუნდის სისუსტე, რომლებიც შარშანდელის დარად ფაქტობრივად მეზობელ პროვინციათა ნაკრებები არიან.

დიდი ფინალი 31 მაისს გაიმართება.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

| 1996 წლის RUGBY SUPER-12 | მ | წ | ფ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვინზლენდის წითლები (ბრისბენი, ავსტრალია) | 9 | 2 | | 5 | 320:247 | 41 |
| ოქლენდის ლურჯები (ოქლენდი, ზელანდია) | 8 | 3 | | 9 | 408:354 | 41 |
| ჩრდ. ტრანსვაალის ლურჯი ხარები (პრეტორია, აფრ) | 8 | 3 | | 6 | 329:208 | 38 |
| ნატალის ზვიგენები (დურბანი, აფრიკა) | 6 | 5 | | 9 | 389:277 | 33 |
| დედაქალაქის ოლქის რაშები (კანბერა, ავსტრალია) | 7 | 4 | | 4 | 306:273 | 32 |
| ვაიქათოს ბელადები (ჰამილთონი, ზელანდია) | 6 | 5 | | 4 | 291:269 | 28 |
| ახ. სამხრ. უელსის ვარათები * (სიდნეი, ავსტრალია) | 5 | 6 | | 8 | 312:290 | 28 |
| ოთაგოს მთიელები (დანიდინი, ზელანდია) | 5 | 6 | | 6 | 329:391 | 26 |
| ველინგთონის ბრიგალები (ველინგთონი, ზელანდია) | 3 | 8 | | 5 | 290:353 | 17 |
| ტრანსვაალის ოქროს ლომები (იოჰანესბურგი, აფრ) | 3 | 8 | | 4 | 233:299 | 16 |
| დას. კონცხი (ქეიფთაუნი, აფრიკა) | 3 | 7 | 1 | 1 | 251:353 | 15 |
| ქენთებრის ჯვაროსნები (ქრაისთჩერჩი, ზელანდია) | 2 | 8 | 1 | 3 | 234:378 | 13 |

ნახევარფინალი

ქვინზლენდი 25:43 ნატალი

ოქლენდი 48:11 ჩრდ. ტრანსვაალი

ფინალი

ოქლენდი 45:21 ნატალი

ქულების დარიცხვის ნიხრი: მოგება — 4, ფრე — 2, წაგება — 0; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა („+“ გრაფა)

* ვარათა ავსტრალიური ყვავილია

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29